სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 2 აპრილი 2008 №073 (3297) ფასი 50 თეთრი

მეორადი ჟანრიდან ფოტო

ქართველებმა თავის უფლად დაიწყეს

დღე პირველი: ევროპის ჩემპიონობა, ორი ვერცხლი და ორიც ლიცენზია!

ფინურ ტამპერეში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა პირველი დღე გასაოცარი წარმატებით ჩაამთავრა და ქართულ ყულაბაში 1 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი ჩააჩხრიალა.

მძიმეწონოსანმა დავით მოძმანაშვილმა ყველა ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო და ევროპის ჩემპიონის ტიტულთან ერთად საპეკინო ლიცენზიაც დაისაკუთრა.

მოჭიდავეებისგან ქართველი ქომაგი მედლებით ყოველთვის განებივრებულია, მაგრამ მოძმანაშვილის წარმატება ორმაგად ფასობს. ჩვენებურმა გამარჯვებას მძიმე წონაში გამოჰკრა ხელი, სადაც ჩემპიონობა განსაკუთრებით რთულია. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ დათო მხოლოდ 21 წლისაა და დღემდე ნაკრებში მეორე ნომრად ითვლებოდა.

გაგრძელება მე-15 გვერდზე

გაწყდა: ტოპი გადაწყდა!

გაყრა მენტალური და სენტიმენტალური



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი გუნდის ამბავი

ყველაზე ნაღვლიანი ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერის კარიერაში

კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი აღარ არის! ეს ამბავი საბოლოოდ გუშინ ფრანკფურტში გადაწყდა. ჩვენც ჰერ კლაუსს სწორედ ფრანკფურტში დავუკავშირდით და, სიმართლე ითქვას, ასეთი ნაღვლიანი ინტერვიუ ბევრი არ გვინახავს... აქამდე ყოველთვის მომღიმარი და რიხიანი ტოპი გუშინ ყველას დაგვემშვიდობა — ჩვენც, თქვენც და მთლიანად ქართულ ფეხბურთსაც...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით

— გუშინაც გითხარით, კლაუს ტოპმიოლერთან აბსოლუტურად გულწრფელი და მეგობრული საუბარი გვქონდა-თქო. ასევე იყო დღევანდელი შეხვედრის დროსაც, სხვა რომ არაფერი, ბოლო ორ წელიწადში პარტნიორულის გარდა, მეგობრული ურთიერთობაც ჩამოგვიყალიბდა.

საუბრისას ყველა საკითხს შევეხეთ, ფინანსურ-სამართლებრივსაც და წმინდა სპორტულსაც. სიტუაცია გავაანალიზეთ და შევთანხმდით, რომ კლაუს ტოპმიოლერი ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობას აღარ გააგრძელებს.

— ფინანსურ-სამართლებრივი საკითხები ახსენეთ. ამ მხრივ თითქოს უთანხმოება გქონდათ. ძველი კონტრაქტის იმ მუხლს ვგულისხმობ, ვადის გასვლის შემდეგ კონტრაქტის ავტომატურად გაგრძელებას რომ ეხებოდა...

— არანაირი უთანხმოება არ გვაქვს. აბსოლუტურად ყველა საკითხზე ვისაუბრეთ და შევთანმხდით. მეტიც, კლაუს ტოპმიოლერმა მზადყოფნა გამოთქვა, ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს გვერდით დაუდგეს და ის ინფორმაცია, რაც მას დაუგროვდა, სრულად მიაწოდოს. ამისთვის ტოპმიოლერს მადლობას ვუხდიდ. ასევე მინდა ერთხელაც გავიმეორო, რომ მან ამ ორ წელიწადში ძალიან ბევრი რამ გააკეთა. თუნდაც ახალგაზრდა ფეხბურთელების დაწინაურებას და ყველა ნაკრების ერთიან სისტემაში მოქცევას გავიხსენებ.

— მიუხედავად ამისა, ტოპმიოლერი ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. ეგებ ის მიზეზებიც ჩამოთვალოთ, რომლებმაც ამგვარი გადაწყვეტილება მიგაღებინათ...

— ეს ძალიან კომპლექსური საკითხია. ჩვენ უკლებლივ ყველა გარემოებაᲐ გავითვალისწინეთ და გადაწყვეტილებაც ამის მერე მივიღეთ.

— ახლა უკვე მთავარი კითხვა, რაც ყველას აინტერესებს, ის არის, ვინ იქნება საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი. უკვე გავრცელდა ხმა, რომ ახალი მწვრთნელი 15 მაისამდე გვეყოლება.

— ვინ თქვა?! მე მსგავსი არაფერი მითქვამს. რაც შეეხება ახალი მწვრთნელის ვინაობას, ბუნებრივია, ამაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. სულ რაღაც ერთი საათია, ტოპმიოლერთან საუბარი დავამთავრეთ...

— მაშინ კითხვას ასე შევაბრუნებ: მწვრთნელის მოძებნას ევროპაში აპირებთ?

— ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ქვეყნის პასპორტი ექნება სასურველ კანდიდატს. მწვრთნელს ეროვნების მიხედვით არ შევარჩევთ. მთავარია, მან ჩვენი მოთხოვნები გაიზიაროს და მათი შესრულება შეეძლოს. უპირველესი მოთხოვნა კი შედეგია. ჩვენი მიზანი კვლავაც შესარჩევი ჯგუფიდან გასვლაა.

— ახალ მწვრთნელთან კონტრაქტი ისეთივე იქნება, როგორის გაფორმებასაც ტოპმიოლერთან გეგმავდით? ანუ შესარჩევი ციკლის ცალკეულ ფაზებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით მოხდება კონტრაქტის გადასინჯვა?

— ამას ახლა ზუსტად ვერ გეტყვით. კონტრაქტის პირობები უშუალოდ მოლაპარაკებების დროს შეთანხმდება.

— თბილისში როდის ბრუნდებით?

— ალბათ, რამდენიმე დღეში. კიდევ რამდენიმე შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი.

— ეს შეხვედრები ახალი მწვრთნელის მოძიებასთან ხომ არ არის დაკავშირებული?

— არა, ეს შეხვედრები ადრევე გვქონდა დაგეგმილი, თუმც ახალი მწვრთნელის მოძიებას, ცხადია, ახლავე დავიწყებთ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ

— უკვე ვიცით, რომ საქართველოს ნაკრებში მუშაობას აღარ გააგრძელებთ...

— დიახ, დღეს ეს საბოლოოდ გადავწყვიტეთ —. ეს ორმხრივი შეთანხმება იყო. ვისაუბრეთ და მშვიდობიანად დავშორდით ერთმანეთს. მართალია, აღარ ვითანამშრომლებთ, მაგრამ მეგობრებად მაინც დავრჩებით.

— გული გწყდებათ?

— რა თქმა უნდა. მე სიამოვნებით ვიმუშავე საქართველოში და კიდევ მსურდა მუშაობის გაგრძელება, მაგრამ იყო მიზეზები, რომელთა გამოც ეს არ მოხერხდა. მე და ჩემმა გუნდმა დიდი შრომა გავწიეთ საქართველოში და მინდა, ამის შედეგი ვნახო, ახლა უკვე ჩემს გარეშე. მართალია, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი აღარ ვარ, მაგრამ დამიჯერეთ, ყოველთვის მივაქცევ მის თამაშს ყურადღებს და ყოველი წარმატება გულს გამიხარებს. ქართულ ფეხბურთს ძალიან ბევრი ტალანტი ეზრდება და იმედი მაქვს, მომავალშიც დიდი ყურადღება მიექცევა 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს.

— რას ტოვებთ საქართველოში?

— თქვენს ქვეყანაში ბევრი რამ მრჩება. საქართველოში ორწლიანმა მუშაობამ ჩემს ცხოვრებაშიც დატოვა კვალი. მრჩება უამრავი მეგობარი, რომლებიც მანდ გავიცანი და ალბათ ძალიან დამაკლდებიან, თუმცა, რა თქმა უნდა, მათთან კონტაქტს არ გავწყვეტ და ბოლომდე ჩემს მეგობრებად დარჩებიან. ძალიან დამაკლდებიან ნაკრებში მომუშავე ქართველები, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ წარმატების მისაღწევად და, რაც მთავარია, ვტოვებ გულშემატკივრებს, რომელთა მხარდაჭერა და ანთებული თვალები არასდროს დამავიწყდება. ასე რომ, ძალიან ბევრი რამ მრჩება საქართველოში...

— ალბათ თქვენი თანაშემწეებიც ასრულებენ მუშაობას საქართველოს ეროვნულ ნაკრებში...

— რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი ჩემთან ერთად წამოვიდნენ. რაც შეეხება პეტარ სეგრტს, მასთან ამ საკითხზე ჯერ არ მისაუბრია — იგი საქართველოშია და მოგვიანებით დაველაპარაკები.

— ხელფასის საკითხიც მოგვარეთ? როდის მიიღებთ დარჩენილ ნაწილს?

— ამ საკითხზეც შევთანხმდით, როგორც გითხარით, კარგ ურთიერთობას ვინარჩუნებთ და მეგობრებად ვრჩებით, ამიტომ სასამართლოზე საუბარიც აღარ იქნება. ეს საკითხი ამის გარეშეც მოგვარდა.

— რას ეტყვით თქვენს მემკვიდრეს?

— მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ იყოს მეგობრული ყველა ფეხბურთელთან, ჰქონდეს მათთან ახლო და თბილი ურთიერთობა. ვუსურვებ, რომ მან შეძლოს ის, რაც მე ორი წლის მანძილზე ვერ შევძელი — ყოველ თამაშში ყველა წამყვანი მოთამაშე ჰყავდეს და კარგი ფეხბურთი აჩვენოს გულშემატკივარს!

— ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ ფეხბურთელებთან გართულებულმა ურთიერთობებმა განსაკუთრებულად შეგიშალეს ხელი მუშაობაში?

— არცერთ ფეხბურთელთან არ მქონია გართულებული და ცუდი ურთიერთობა, მათ შორის, არც ზურაბ ხიზანიშვილთან. მე მას რამდენჯერმე ვესაუბრე და გავარკვიეთ ჩვენი ურთიერთობა, იგი ბოლო თამაშშიც გამოვიძახე. ჩემი მხრიდან კონფლიქტური სიტუაცია არცერი მოთამაშის მიმართ არ ყოფილა.

— ახლა რას აპირებთ?

— ბოლოს განვითარებულმა მივლენებმა დიდი ტკივილი მომაყენა, ამიტომ ცოტა ხნით პაუზას ავიღებ და დროს ოჯახს დავუთმობ. ხვალვე მივფრინავ შინ და დავტკბები იმ ხალხის გარემოცვაში ყოფნით, რომელთაც ბოლო ხანებში ცოტა დროს ვუთმობდი.

— ღ. ბოლოს: რას უტყვით ქართველ ხალხს?

— მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო იმ უდიდესი მხარდაჭერისთვის, რასაც ისინი ჩვენს მიმართ იჩენდნენ, იმ მომღიმარი სალმისთვის, რომლითაც უცნობები ქუჩაში მხვდებოდნენ, სითბოსა და სიყვარულისთვის! მინდა, ქართველ გულშემატკივარს ვუსურვო, რომ ხშირად ყოფილიყვნენ გახარებულნი საკუთარი გუნდის წარმატებით!

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲔ
ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ

დარჩენა-არდარჩენა: საკითხავი ვითომ ეს იყო?

ტოპმიოლერის მინუსებიანი ძირითადი თერთმეტეული

რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის — ალბათ, ზუსტად მიესადაგება კლაუს ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრებში მუშაობას.

მისი ხუჭუჭა თმასავით ბრწყინავდა „ლევერკუზენის“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა, მიხაელ ბალაკის, ლუსიოს და ზე რობერტოს გავარსკვლავება. ასეთი კაცი ჩამოიყვანა საქართველომ ნაკრების მწვრთნელად.

თქმა რად უნდა, მისი დარი ავტორიტეტი თავკაცი ჩვენს გუნდს არასდროს ჰყოლია.

და ამ დროს „ოქრო“ ისეთ საშინელ შედეგს აჩვენებს ეროვნულ ნაკრებში, არცერთ მის წინამორბედს რომ არ ჰქონია.

საქართველოში ცოტაღა თუ დარჩა ისეთი ადამიანი, ტოპმიოლერის ნაკრებში დარჩენა სურდეს. დარწმუნებული ვარ, ამ ცოტასაც „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“-სი ეშინია — კარგი, კლაუსი წავა, მაგრამ ემანდ, უარესი არ მოვიდესო...

ტოპმიოლერის მომხრეებს თავიანთი არგუმენტები ექნებათ და გარკვეულ პლუსებსაც ჩაწერენ მის მუშაობაში, მაგრამ მინუსებს მაინც ვერ მოერევიან.

მოდით, შეკადაროთ „ოქროს“ პოზიტივი და ნეგატივი...

დადებითი მხარეები, ანუ რატომ უნდა დარჩენილიყო კლაუს ტოპმიოლერი

1. ტოპმიოლერი გამოცდილი და სახელოვანი მწვრთნელია — ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბევრს როდი გაუყვანია გუნდი;

2. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს 17, 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებს — არა მარტო თამაშებს, მათ ვარჯიშებსაც ესწრებოდა და ხშირად თვითონაც უხელმძღვანელია წვრთნისთვის;

3. მის დარად სხვა ვერ გარისკავდა და შოტლანდიასთან მატჩში სკოლის ასაკის სამ ფეხბურთელს არ დააყენებდა ძირითადში. ლაპარაკია გიორგი მაკარიძეზე, ლევან ყენიასა და ლევან მჭედლიძეზე;

4. ეროვნულ სტადიონზე ტოპმიოლერის ინიციატივით დამონტაჟდა სპეციალური ვიდეოკამერები, რომლის ჩანაწერის გაშიფვრა და მოთამაშეების ტექნიკა-ტაქტიკურ მოქმედებათა გამოთვლა ზუსტად ხდება;

5. მართალია, ბევრს ვაკრიტიკებთ (და სამართლიანადაც), საქართველოში არ ჩამოდის და არ მუშაობსო, მაგრამ ტოპმიოლერმა უკვე იცის, ქართულ ფეხბურთში ბევრი ისეთი რამ, რისი სწავლაც მის მეკვიდრეს მოუწევს. სწავლა კი დროდ ფასობს;

6. ნაკრებისთვის ძლიერი სპარინგ-პარტნიორების გამოძებნაში თავადაც მონაწილეობდა.

უარყოფითი მხარეები, ანუ რატომ უნდა წასულიყო კლაუს ტოპმიოლერი

1. უმთავრესი: ტოპმიოლერს ძალიან ცუდი შედეგი აქვს ნაკრებში;

2. არანაკლებ მნიშვნელოვანი: კანტიკუნტ მატჩებს თუ არ ჩავთვლით, ტოპმიოლერის ხელში თამაშის ხარისხი შედეგის ეკვივალენტურია;

3. საქართველოში, ფაქტობრივად, მხოლოდ თამაშის წინა დღეებში იყო. წლეულს სულაც 3-4 დღე დაჰყო საქართველოში და არც შარშან „გვაფასებდა“ მაინცდამაინც;

4. საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ნახვა დროის ფუჭი კარგვაა, უთხრა „სარბიელს“ ტოპმიოლერმა. ასეც რომ იყოს, ნაკრების თავკაცმა ეს არ უნდა თქვას, რადგან სტიმულს უკარგავს საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს. აკი, მერე საკუთარი საქციელითვე აღიარა შეცდომა: მის ხელში იქცა ნაკრების ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად თბილისის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი;

5. ეს საქციელით, თორემ ტოპმიოლერს არც ერთი წაგებული მატჩის შემდეგ (ლატვიასთან ბოლო მატჩის გარდა) ბოდიში არ მოუხდია, თურმე წაგების მიზეზი სხვა ყველაფერია, მის გარდა...

6. გვატყუებდა, უფრო სწორად, სურდა, მოვეტყუებინეთ, რომ საქართველოს ნაკრებისთვის თურქეთთან მოგება ზღაპარია — მსოფლიოს მესამე გუნდს მოვუგეთო. თურქეთი, კარგა ხანია, აღარაა დუნიის მესამე ნაკრები და მეორეც, სულაც არ არის მისი დამარცხება ზღაპარი, რაკიღა ტოპმიოლერის მოსვლამდეც მოუგიათ ჩვენებს ამ დონის გუნდთან;

7. ასევე სურდა, მოვეტყუებინეთ, რომ ფიფას რეიტინგში საქართველოს ნაკრებმა მისი შემწყობით განიცადა მნიშვნელოვანი პროგრესი. უპირველესად, ეს მოხდა სარეიტინგო სისტემის შეცვლის გამო;

8. კონფლიქტები აქვს ფეხბურთელებთან, თანაც, არა ერთთან და ორთან...

9. ხელაღებით ვერ ვიტყვით, მაგრამ ნაკრების ძირითადში ჩნდებოდნენ უკლებლ ფეხბურთელები, რაც დიდ ეჭვებს ბადებდა...

10. ჰერ კლაუსის სამწვრთნელო შტაბი: დღემდე ვერ გავიგეთ ჯანც ტოპმიოლერის ფენომენი 19-წლამდელთა ნაკრებსა და ეროვნულში ერთ-ერთ თანაშემწედ;

11. კიდევ ერთი რამ უნდოდა, მოეტყუებინა: ოფიციალური და ამხანაგური მატჩების მნიშვნელობის ტოლფასობაზე თქვა, არადა, მერე ეს „კოზირიც“ წაერთვა ამხანაგურებში ლუქსემბურგ-აზერბაიჯანთან ვერმოგებებით და ლატვია-ჩრდილოეთ ირლანდიასთან პირწმინდა წაგებებით.

მოკლედ, ესეც პლუს-მინუსები... თუმც ვიცი, ბევრი შემოგვდავდება. გააჩნია, ვინ როგორ იფიქრებს და ვინ რა თვალით უყურებს კლაუს ტოპმიოლერის ნამუშევარს...

ილია ნანოგაშვილი

შოთა არველაძე გერმანიაში

გაიღვიძო და მწვრთნელი გახდე? ასე არ ხდება

გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარმწვრთნელობიდან გაათავისუფლეს კლაუს ტოპმიოლერი. ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი გოლის გამტანი შოთა არველაძის აზრი ქართული ფეხბურთის ქომაგისთვის ყოველთვის საინტერესოა და გუშინ შოთას გერმანიაში დავუკავშირდით — ის ლევან კობიაშვილის საქომაგოდ ჩავიდა გელზენკირხენში. გეცოდინებათ, „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში კატალონიურ „ბარსელონას“ ხვდებოდა.

ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე არველაძემ ეს გვითხრა:

არ მინდა, ტოპმიოლერის შრომა წყალში ჩაიყაროს

— ჩემი აზრი ცოტა ხნის წინაც დავაფიქსირე და ახლაც ვიმეორებ: კლაუს ტოპმიოლერი უნდა წასულიყო.

— ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრები უკვე დატოვა და ახლა ახალი მწვრთნელია მოსაძებნი. როგორ ფიქრობ, ისევ უცხოელმა უნდა უთავკაცოს ჩვენს ნაკრებს თუ ქართველმა?

— იმან, ვინც საქმეს გააკეთებს. აუცილებლად უცხოელი ან აუცილებლად ქართველი — ასე საკითხს არ უნდა მივუდგეთ.

— არის საუბარი, რომ შესაძლოა, ფეხბურთის ფედერაციამ თემურ ქეცბაიას შესთავაზოს ნაკრების მწვრთნელობა...

— ვინც არ უნდა მოვიდეს ნაკრების მწვრთნელად, გვერდით დავუდგები და მით უმეტეს, ქეცბაიას. საქართველოს ნაკრების წინსვლისთვის ყველა ერთად უნდა დავდგეთ.

— საქართველოში იმასაც ამბობენ, შესაძლოა, შოთა არველაძეს შესთავაზონ ნაკრების თავკაცობაო. ერთხელ კლაუს ტოპმიოლერმაც თქვა, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებიდან შოთას ყველაზე მეტად შეუძლია, მწვრთნელი გახდესო...

— ჯერ კიდევ მოქმედი ფეხბურთელი ვარ. მომავალში მწვრთნელობას რომ ვფიქრობ, ეს ადრეც მითქვამს. რაც შეეხება ნაკრებს, ასე არ ხდება, გაიღვიძო და მწვრთნელი გახდე. ამას ბევრი სწავლა და მომზადება სჭირდება და ადვილი არ არის.

— ტოპმიოლერი წავიდა და მაინც: რა იყო მის მუშაობაში დადებითი?

— არ მინდა, ამ კაცის შრომა მთლად წყალში ჩაიყაროს, უმადურები არ უნდა ვიყოთ. ტოპმიოლერი რომ არა, გერმანიის ნაკრებს ამხანაგურად ვერ გავეჯიბრებოდით და კიდევ ბევრი ნიუანსია, რასაც დადებითად ვაფასებ. ალექსანდრე ჩივაძის ნაკრების შემდეგ ყველაზე მეტი გოლი ტოპმიოლერის ხელში გავიტანე და ჩემი მხრიდან ესეც დასაფასებელია.

— კლუბზეც გკითხავ: „ლევანტეში“ წინა ტურში არ გითამაშია და რა იყო ამის მიზეზი?

— სადებიუტო მატჩში რამდენიმე წუთი კი ვითამაშე, მაგრამ ჯერ მოღონიერება მჭირდება. გასვლით თამაშში მწვრთნელმა გადწყვიტა, დავესვენებინე. ნელ-ნელა ჯანზე მოვალ და იმედი მაქვს, მალე სასტარტოშიც ვითამაშებ.

ნუკრი ლოლაძე

კახა კალაძე: ვეფხვი მკლავზე და ვეფხვი მოედანზე

რა არის ტატუ: მოდა თუ ცრურწმენა?

ტატუ — *სხეულის მოხატვა-მოსვირინგება ბოლო პერიოდის მოდად იქცა. ცხადია, ამ მოდას ფეხბურთელებიც აჰყვნენ და ტატუ იმდენად პოპულარულია, რომ უკვე სხეულზე „სუფთა“ ადგილსაც აღარ იტოვებენ...*

ამის კლასიკური მაგალითი დევიდ ბექემია — „ბექჰმა“ ბოლოს თავისი მეუღლის, „სპაის გელოზის“ ექსსოლისტ ვიქტორიას სახეც კი ამოისვირინგა...

ამ თემას უკრაინაში გამომავალი „კომსომოლსკაია პრავდა“ შეეხო და ჩამონთვალში ქართველი ფეხბურთელი კახა კალაძეც მოხვდა. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ წერილის გადმოქართულება...

უკრაინის ნაკრების კაპიტანსა და ლონდონის „ჩელსის“ თავდამსხმელ ანდრეი შევჩენკოს მარცხენა მხარს დრაკონის გამოსახულება უმშვენებს. შევა დრაკონის წელიწადშია დაბადებული და ბევრი ამ ფაქტს ასე ხსნის. ამასთან, შევჩენკომ პირველი სეზონი იტალიაში დრაკონის წელიწადში ითამაშა. თუმცა, როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, ტატუ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის მოგონებაა.

ინგლისური „ლივერპულის“ უკრაინელმა თავდამსხმელმა ანდრეი ვორონინმა კი ტატუს მეშვეობით საკუთარ თავს კეთილშობილება და გამძლეობა შემატა. მას მარცხენა ხელზე გველი აქვს ამოსვირინგებული, რომელიც მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში სიბრძნის, უკვდავებისა და ძლიერების სიმბოლოა.

იტალიელი კრისტიანო ლუკარელის სხეულზე მშობლიური კლუბის, „ლივორნოს“ გერბია გამოსახული. ლუკარელიმ მეგობრებთან პირობა დადო, რომ გერბს იმ შემთხვევაში ამოისვირინგებდა, თუ „ლივორნო“ უეფას თასზე ითამაშებდა — კრისტიანომ პირობა შეასრულა.

მასვე შანსი ჰქონდა, „ლივორნოს“ გერბისთვის დონეცკის „შახტარისაც“ მიემატებინა, რადგან უკრაინაში გადაბარგებულმა პირობა იქაც დადო — „შახტარის“ შემადგენლობაში ზედიზედ სამი უკრაინული ოქროს მოპოვების შემდეგ, „ლივორნოს“ გერბი მის სხეულზე თავს მარტოსულად არ იგრძნობდა, მაგრამ... ლუკარელი უკვე „პარმაშია“...

კიევის „დინამოს“ რუმინელ ნახევარმცველ ტიბერიუ გიოანეს მარჯვენა ხელზე ლათინური Veni, Vidi, Vici (მივალ, ვნახე, გავიმარჯვე) აქვს ამოტვიფრული. მოედანზე სერიოზული გამარჯვებების რა მოგახსენოთ, მაგრამ ცხოვრებაში ნამდვილად იმარჯვა — გიოანე ორი წლის განმავლობაში ებრძოდა უმძიმეს ავადმყოფობას, რის შემდეგაც ფეხბურთს დაუბრუნდა.

შახტარელ ალექსეი გაისთვის კი ტატუ ოჯახია. მარჯვენა მკლავზე მეუღლისთვის მიძღვნილი სიტყვებია ძველფრანგულ ენაზე — არავინ, შენს გარდა. გოგონას დაბადების შემდეგ მარჯვენა ბეჭზე ანგელოზი ამოისვირინგა, ზურგზე — მეუღლისა და გოგონას ინიციალები, მარცხენა ხელზე კი იეროგლიფები, რომლებიც ოჯახისა და ბედნიერების სიმბოლოებია.

მოდამ არც საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე დაივიწყა. „მილანის“ მცველის სხეული ვეფხვის ილუსტრაციით არის მოხატული. როგორც თავად კალაძე ამბობს, ის ვეფხვი თავად არის მოედანზე.

ვეფხვის გარდა, კალაძის მარჯვენა მკლავს იეროგლიფური სიმბოლოებიც ამშვენებს. რა იმალება აღმოსავლურ ტატუში, ამის გამხელას კახა ჯერ არ ჩქარობს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ვინც ბრალს მდებს, დამიმტკიცოს!

ფოტო: ეროვნული ბანკი

წინა *კვირაში იყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა მამუკა კვარაცხელიამ პრესკონფერენციაზე განცხადება რომ გადმოგვცა. ეს განცხადება, რომელსაც ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი გოგიტა გოგუა აწერდა ხელს, კვარაცხელიას თქმით, რამდენიმე თვის წინ არის დაწერილი და მასში ნოდარ ახალკაცს, გაიოზ დარსაძეს და კლაუს ტოპმოლერს უკანონო გარიგებათა მცდელობაში ედებოდათ ბრალი. ეწერა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელები ფეხბურთელისგან მათთვის სასურველ ტრანსფერებში მონაწილეობას ითხოვდნენ და ამის დადასტურება აგენტ ივანე ჯულელს შეეძლო.*

„სარბიელი“ იმავე დღეს დაუკავშირდა ჯულელს, რომელმაც ამ შინაარსის მქონე განცხადების არსებობის ფაქტი დაადასტურა, მაგრამ მასში მოყვანილი ბრალდებების მართლებულება უარყო.

შემდეგ თავად გოგიტა გოგუას კომენტარი შემოგთავაზეთ, რომელმაც გვითხრა, არაფერი ვიცი, ის კი თქვა, ერთადერთი, ტოპმიოლერთან მქონდა თავის დროზე მცირე უთანხმოება, რომელიც მალევე მოგვარდაო.

გუშინ კი ამავე საკითხთან დაკავშირებით გაიოზ დარსაძესაც შევხვდით...

— იმ გახმაურებული განცხადებით დავიწყოთ. მასში თქვენც ხართ მოხსენიებული...

— კმაყოფილი ვარ, რომ თავად გოგიტა გოგუამ ყველაფერი უარყო. მისი მხრიდან ეს კაცური ნაბიჯია. გოგუას კომენტარიც რომ არა, თავის მართლებას არ ვაპირებდი. თუ ვინმე ბრალს მდებს კორუფციულ გარიგებაში, კეთილი ინებოს და, დაამტკიცოს.

— თუმც ისიც ფაქტია, რომ ნაკრების მწვრთნელობის პერიოდში თქვენ მჭიდრო კავშირი გქონდათ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან“. განცხადებაში ამის თაობაზეც ეწერა...

— ყოველთვის მზად ვიყავი ნებისმიერი კლუბისთვის, რომელიც რაიმე საკითხზე რჩევას მთხოვდა, კონსულტაცია გამეწია. ამიოლუტურად უანგარო კონსულტაციაზე ვ�პარაკობ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. კომეორებ: „ზესტაფონიდან“ ფინანსური დაინტერესება არასდროს მქონია.

— თქვენი სახელი გიორგი განუგრავას ტრანსფერსაც დაუკავშირეს...

— მე საფეხბურთო აგენტი არ ვარ. განუგრავას ტრანსფერში მონაწილება რომ მიმეღო, ერთხელ მაინც უნდა შევხვედროდი მისი ახალი კლუბის წარმომადგენლებს. მე კი მთელი იმ პერიოდის განმავლობაში საქართველოდან ფეხი არ გამიდგამს.

— ბოლოს ნაკრებში თქვენი მუშაობის პერიოდსაც შევეხები. თქვენ თვლით, რომ სწორი გზა გქონდათ არჩეული, თუმცა ტაბლოს მიხედვით კარგი შედეგები არ გქონდათ...

— მუშაობა რომ შეაფასო, ჯერ უნდა გაიაზრო, საიდან იწყებ და მიზანი რა გაქვს. ჩვენ ძალიან უკან ვიყავით, მიზანი კი სერიოზული გვქონდა. უზარმაზარი მოცულობის სამუშაო იყო ჩასატარებელი, რაც ბაყის მხრივ, დიდ დროსაც მოითხოვს. ეს დრო კი მე არ მომეცა.

გიორგი დარჯანია

მატყუარა ავადმყოფობა

მუჯირმა კრილია სიცხით აიცილა

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველ დავით მუჯირს თავის ყოფილ კლუბთან, სამარის „კრილია სოვეტოვთან“ მატჩში არ უთამაშია. მიზეზი ავადმყოფობა იყო — მუჯირი რამდენიმე დღის წინ ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრამდე გაცივდა და სიცხემ აუწია.

თუმცა რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“ მუჯირი „ლოკომოტივ“ — „კრილიას“ მატჩისას მიქს-ზონაში შენიშნა, როცა ქართველი ფეხბურთელი ყოფილ თანაგუნდელებთან გამოლაპარაკებას ცდილობდა და, აი, რა უთხრა ერთ-ერთ სამარელს: „რა ვქნა, არ შემიძლია „კრილიას“ წინააღმდეგ თამაში და ამიტომაც გავხდი მატჩის წინ ავად“.

კახა შალამბერიძე

რუსი ქართველი ნომინანტები

რუსეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს შორის სტაბილურობით ლევან გვაზავა გამოირჩევა. გაზეთ „სპორტ-ექსპრესის“ შეფასებით, ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას“ ნახევარმცველი საშუალოდ 5,83 ქულას აგროვებს და პირველივე ტურიდან ცენტრალურ ნახევარმცველებს შორის მეოთხე პოზიციაზეა.

ამ ნომინაციაში ჩვენებური სერგეი სემაკს, იგორ სემშოვსა და დმიტრი ხოხლოვს (სამივეს 6,0) ჩამორჩება.

ტურის საუკეთესო გოლებში კი გვაზავა მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფს.

საუკეთესო ხუთეულში პირველად მოხვდა ყაზანელი დავით კვირკველია. „რუბინის“ ახალწვეული მარცხენა მცველებს შორის მეორეა 5,83 ქულით და მხოლოდ რუსეთის ნაკრების მცველ ალექსეი ბერეზუცკის (6,0) ჩამორჩება. რუსეთის პრემიერლიგის ახალწვეულებს შორის კი იგი მეხუთე ადგილზეა.

საუკეთესოთა შორის აღარ არის გოგიტა გოგუა — ნალჩიკელების მიერ გრ'ხნოს „ტერეკთან“ წაგებულმა და უილაჯო თამაშმა გოგუა ხუთეულს მიღმა დატოვა.

მიხეილ ჟორჟოლიანი



ცქიტიშვილი ლოკომოტივში კონტრაქტი ორთვიანია

თბილისი „ლოკომოტივმა“ სეზონის ბოლომდე კონტრაქტი გააფორმა საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ ლევან ცქიტიშვილთან. ეს ამბავი მოულოდნელი ნაღდად არ ყოფილა, თუმცა ფაქტია — შეთანხმება აქამდე გაჭანჭლდა და ოფიციალურად ყველაფერი გუშინ დადასტურდა.

ცქიტიშვილი თითქმის წელიწადია, უგუნდოდ იყო — ბოლოს ბერძნულ „პანიონიოსში“ თამაშობდა...

31 წლის ლევანს აქამდე ჰოლანდიურ „ალკმაარში“, გერმანულ „კაიზერსლაუტერნსა“ და ინგლისურ „ბირმინგემში“ გადასვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდა და საბოლოოდ „ლოკომოტივს“ მიაშურა.

თბილისური კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, დიდი შანსია, ცქიტიშვილმა მომდევნო ტურში, რუსთავის „ოლიმპთან“ მატჩშივე მოირგოს მაისურა.

შეგახსენებთ: თავის დროზე ცქიტიშვილს თბილისის „დინამოში“, „ფრაიბურგში“, დონეცკის „მეტალურგში“, „ვოლფსბურგსა“ და ზემოხსენებული „პანიონიოსში“ უთამაშია.

კახა შალამბერიძე

გაკეთეთ მოედნები და ნახავთ!

ჟილვან ვიეირა: ზესტაფონში ბედნიერი ვარ

ფოტო: ალექსანდრე ბერაძე

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ბევრი ლეგიონერი არ არის, თუმცა რამდენიმე მათგანი კარგი თამაშით ხიბლს მატებს ჩვენს ჩემპიონატს. საქართველოში ყველაზე მეტი უცხოელი „ზესტაფონსა“ და თბილისის „დინამოში“ ირიცხება. ბოლო მატჩებია, იმერელთა გუნდის მარცხენა ნახევარმცველი, ბრაზილიელი ჟილვან ვიეირა უდავოდ გამორჩეულია. ამას ისიც მოწმობს, რომ ბოლო სამ მატჩში ვიეირამ მეტოქეთა კარი ექვსჯერ დალაშქრა, რაც ნახევარმცველისთვის ძალიან კარგი შედეგია. ბრაზილიელს გუშინ შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ...

— წელიწადნახევარია, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობ, თუმცა აქამდე ასეთი ეფექტური ვერ იყავი — ბოლო მატჩებში აიწყვიტე და გოლი გოლზე გაგაქვს. ეს შენი ფორმის პიკია?

— მართლაც კარგად მიმდის თამაში და მიხარია, რომ ბევრი გოლი გავიტანე. სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს არის ჩემი ფორმის პიკი — მეტის გაკეთებაც შემიძლია.

— როგორ შეაფასებ ჩვენი ჩემპიონატის დონეს?

— აქ ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობს. ყველაზე დიდი პრობლემა კი კარგი მინდვრების არქონაა, რაც ფეხბურთელთა ზრდას ძალიან აფერხებს. გაკეთდეს ნორმალური მოედნები და ნახავთ, როგორც აიწევს ჩემპიონატის დონე.

— ბევრი თვლის, რომ ამ სეზონში „ზესტაფონს“ ჩემპიონობა გაუჭირდება — ლიდერს უკვე ექვსი ქულით ჩამორჩებით და შენი აზრით, პირველობის შანსი კიდევ დაგრჩათ?

— ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ საკმაოდ დროა და, ვფიქრობ, რომ დაკარგული ჯერ არაფერი გვაქვს და ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ნუ გამორიცხავთ, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ და „დინამომ“ ქულები კიდევ დაკარგონ, ჩვენ კი ჩვენი მატჩები აუცილებლად უნდა მოვიგოთ და...

— „დინამოსთან“ მოახლოებულ სათასო დაპირისპირებაზე რას იტყვი?

— თბილისელებს მართლა კარგი გუნდი ჰყავთ, თუმცა „ზესტაფონს“ შესწევს მათი დამარცხების ძალა. გპირდებით, რომ დიდიე ოვონოსაც გავუტან და საერთოდაც, თასს ამჯერად „ზესტაფონი“ აიღებს.

— მეორე წელია, საქართველოში ცხოვრობთ და საინტერესოა, არ უჭირს ბრაზილიელ კაცს აქ ცხოვრება?

— რა თქმა უნდა, სამშობლო მენატრება, თუმცა ქართველებმა თავი ძალიან შემაყვარეს. ზესტაფონში ყველა მცნობს და დიდ პატივისცემასაც გამოხატავენ, მეც ვცდილობ, იგივე სითბოთი ვუპასუხო. ზესტაფონში თავს ბედნიერად ვგრძნობ.

ნუკრი ლოლაძე

ეს თასი სამუდამოდ „ამერისაა“

ფოტო: ალექსანდრე ბერაძე

პროფლიგა და ახალი თასი

შარშან, 26 მაისს „ამერიკა“ „ზესტაფონს“ ფინალი მოუგო და საქართველოს თასი მიჯრით მეორედ ჩაიბარა.

მაშინ დათქმული იყო, რომ იმ ფინალის მომგებს თასი სამუდამო მფლობელობაში დარჩებოდა, ამ სეზონიდან კი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა თასის ახალ მოდელს გაათამაშებდა.

ისიც გეხსომებათ, ფინალის მერე გახარებულ ამერელებს თასი რომ შემოატყდათ, თუმცა მერე ხარისხიანად შეაკეთეს და ახლაც ოფისში უდგათ.

გუშინ კი პროფლიგის ოფისში ახალი თასი მიიტანეს, რომელსაც წარწერებით და ლოგოებით ეფერებაღა აკლია. ამ საქმეს დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდება და საბოლოო სახეს რომ მიიღებს, საგანგებო პრეზენტაციაზე საჯაროდაც გამოიფინება.

კოტე კეკელია

„დინამო, ამერი და ზესტაფონი ტოპ-350-ში

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციამ მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა და TOP-350-ში სამი ქართული გუნდი მოხვდა — ასეთი რამ ადრეც ყოფილა, თუმც წლეულს პირველად მოხდა, რომ ქართველები ასე ხვავრიელად შევიდნენ 350-ეულში.

თბილისის „დინამო“ წინა თვის რეიტინგში 303-ე იყო, ახლა კი 230-241-ე ადგილებს იყოფს 12 გუნდთან ერთად.

სიაშია „ამერიც“ (260-ე ადგილზე) და „ზესტაფონიც“ (334-ე ადგილზე).

რეიტინგის პირველ ხუთეულში კი სამი ინგლისური კლუბია, რაც მართლაც შთამბეჭდავია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პირველ-მეორე საფეხურებიც მათ უჭავიათ.

ილია ნანობაშვილი

1	(1)	ჩელსი	277
2	(4)	მანჩესტერი	274
3	(2)	მილანი	266
4	(3)	სევილია	260
5	(9)	ლივერპული	257
6	(5)	ბოკა ხუნიორსი	254
7	(6)	რომა	250
8	(12)	ჰამბურგი	276
9	(7)	ბარსელონა	234
10	(10)	არსენალი	232

პლაკატების ეროვნული გამოფენა

ქართული ფეხბურთი და ქომაგობა მთლად ძმებივით ვერ არიან ერთმანეთთან და სასიამოვნოა, როცა ამ ბოლოხანს „დაობობა“ შეინიშნება.

თბილისის „დინამოს“ და ზუგდიდის „მგლების“ მე-19 ტურის მატჩი ერთ-ერთი იშვიათი იყო, როცა ორივე გუნდს ფან-კლუბები ამხნევებდნენ და დროშა-დაფდაფით შეიარაღებულმა ბიჭებმა ჩვენი საკლუბო ფეხბურთისთვის ასე უცხო პლაკატებიც გამოფინეს ტრიბუნებზე.

იმედია, „დინამოს“ და „მგლების“ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ — ფეხბურთი ხომ უქომაგოდ არარაობაა და მოდით, თბილისელებო, ზუგდიდელებო, რუსთაველებო, ბათუმელებო, გორელებო, ცხინვალელებო, ბოლნისელებო, ბორჯომელებო, ახალციხელებო, ზესტაფონელებო, ვუქომაგოთ ჩვენს გუნდებს!

და ერთიც: „დინამო“ — „მგლების“ მატჩის ბოლოს ტრიბუნაზე მომხდარ საზიზღრობაზე აქამდეც ვწერდით და გეცოდინებათ, როგორ აგინა „დინამოს“ რამდენიმე ქომაგმა ზუგდიდელ ფეხბურთელებს. ამ ამბავში კარგი მხოლოდ ის არის, რომ ეს ვაიქომაგები „დინამოს“ ფანკლუბის წევრები არ იყვნენ, მაგრამ ამით რა ხეირი...

კახა შალამბერიძე

ფოტო: გადრი ჯეთილაძის

ფოტო: გადრი ჯეთილაძის



ეხ, ბურთიდან ფეხბურთამდე

ექვსი ტური ნათოვლარზე
მოდი, ბიჭებმა ჰასები აკეთონ

ილია ბაბუნაშვილის ფურცელი

აი, მე-19 ტურშიც წააგო! მართალია, „ზესტაფონთან“, მაგრამ საქართველოს ჩემპიონისთვის შინ 0:3, თუნდაც „ზესტაფონთან“, უხერხული შედეგია. მათთვის, ვისაც ამ არეულ-დარეულ დროში დაავიწყდა: საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპია“, გუნდი, რომლისთვისაც მეორე წრე, მარტივად რომ ვთქვათ, რთულად დაიწყო...

ოლიმპელი დავით დევდარიანის მაკრატელა

მარცხა დოლელიანის ფოტო

ფაქტია: „ოლიმპი“ ლიდერ თბილისის „დინამოს“ 20 ქულით ჩამორჩება, არადა, მეორე წრე რუსთაველებმა თბილისში სწორედ „დინამოს“ 2:1 ძლევით დაიწყეს. იმ დღეს, 23 თებერვალს, ყველა აღიარებდა, რომ ხამთრის არდადეგების შემდეგ საქართველოს პირველობა ინტრიგით განახლდა. ერთი რომ, „ოლიმპის“ მიერ თბილისში „დინამოს“ დამარცხება საინტერესო გახლდათ როგორც ფაქტი და მეორე, რუსთაველ გუნდმა ეს დალაგებული, კარგი ფეხბურთით შეძლო. იმ დღეს უკვე შეუიარაღებელი თვალითაც გამოჩნდა, რომ რუსთაველებს ჰყავთ ახალგაზრდა ნიჭევარმცველი დავით დევდარიანი და მას შემოწყობილი კომპანია, რომელთა ცქერამ პერსპექტივის სასიამოვნო შეგრძნება გააჩინა, მაგრამ... ყველაზე თავისებური ის იყო, რომ 23 თებერვლის შემდეგ დატრიალდა ფრაზა: თამაში მწვრთნელმა მოიგო; „დინამოსთან“ გამოჩნდა, რომ ანატოლი პისკოვეცი მწვრთნელია...

რა იყო ამაში თავისებური?

ის, რომ გავიდა სულ ცოტა ხანი და რუსთაველებმა უკრაინელი სპეციალისტი გაუშვეს.

მიზეზი: თავად პისკოვეცის თქმით, მას ცოლი და დედა ჰყავს ავად, ხალხის თქმით კი, ჩვეულებრივ, ადამიანებს მთელი ოჯახი ერთად არ უავადდებათ... თუ უბრალო გრიპზე არ არის საუბარი.

აქ, უმორჩილესად გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ „ოლიმპის“ საქმეში ვერევი და მის პატრონებს ვასწავლი, ვინ მოხსნან და ვინ დანიშნონ. კლუბი კლუბია, თავისი საქმე თვითონ იცის, უბრალოდ, ის, რაც „ოლიმპის“ თავს სულ რაღაც ორ კვირაში დატრიალდა, თავისებურ ამბად მეჩვენა და ეგ არის. მწამს, გულშემატკივრისთვის ჯობდა, „დინამოს“ ძლევის შემდეგ რუსთაველებს აღმასვლა გაეგრძელებინათ და ამ ჩვენი ჩემპიონატისთვის, რომლის ჭირისუფლები ყოველ ცუდ ამბავზე თითებს ვიკვნეტთ და ყოველ გამონათებაზე ბავშვებივით ვხარობთ, კიდევ ერთი ინტრიგა და ეშხი შეემატებინათ, მაგრამ ვაგლახ... სამწუხაროდ, დღეს „დინამოს“ მინუს „ოლიმპი“ ოც ქულას უდრის, ეს კი ძალიან ბევრია.

საქართველოში მიცემულ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ანატოლი პისკოვეცმა „დინამოსთან“ თამაშზე საუბრისას თქვა, ზამთრის შეკრებისას გუნდი ისე მოვამზადე, რომ კარგ ფორმაში სწორედ მეორე წრის დასაწყისისთვის ყოფილიყო. კი მაგრამ, მხოლოდ ერთი თამაშით? რასაკვირველია, მომზადების სხვადასხვა მეთოდი არსებობს. სრულიად შესაძლებელია, მწვრთნელმა პროცესი ისე დაგეგმოს, რომ გუნდი კარგად სწორედ მისთვის სასურველ პერიოდში ათამაშდეს, მერე კი ლოგიკური დაღმასვლა დაეწყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს დაღმასვლაც ხომ გათვლილი და დაგეგმილი გამოდის? ამიტომ სამსახურიდან წასვლა მოტივით, რაც დაგეგმილი იყო, რატომ გამოვიდაო, ცოტა გაუგებარი მგონია.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ პისკოვეცს მივტირი. არც ზოგადად ქართული და არც კერძოდ რუსთაველი ფეხბურთისთვის ის დიდ ფიგურად არ ჩანდა, ასე რომ, გმადლობთ და კარგად ბრძანდებოდეთ, თუმცა ჩემპიონისგან...

როგორც ჩანს, ჩემპიონობა მართლა რთულია, მით უფრო, საქართველოში, სადაც სტაბილური არაფერია და, მით უმეტეს, გუნდის შემადგენლობა ვერ იქნება. მეორე წრის წინ „ოლიმპიდან“ რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა: ვლადიმერ დვალიშვილი, რევაზ ჯიქია, გიორგი ნავალოვსკი... მერე, როცა ჩემპიონი ხარ, შენს ყოველ ნაბიჯს დიდ ყურადღებას აქცევენ და ადრინდელზე ბევრს გთხოვენ, მაგრამ რაც არის, არის. ახლა მთავარია, დევდარიანი და კომპანია იყოს კარგად, დანარჩენს კი სურვილის შემთხვევაში ეშველება. ასე რომ, ცხოვრება რუსთაველიც გრძელდება და ისევე, როგორც მთელს დანარჩენ დედამიწაზე, მთავარი სწორედ ეს არის.

ცხოვრებაო... ცხოვრება კი არა, მკაცრი ზამთრის შემდეგ თოვლი რომ გადნა, ისეთი მოედნები გამოჩნდა, მტრისას. ჰოდა, თუკი ამ მოედნებზე ჩემპიონატი გრძელდება, ცხოვრებაც გაგრძელდება, აბა, რა მოუვა.

თუ გახსოვთ, შარშანდლიდან მოყოლებული აქა-იქ ისმოდა, რომ საქართველოში მოედნების პრობლემა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ გასულმა ზამთარმა დაგვანახა, რომ მინდვრების გამოსწორება ერთჯერადი აქტი არ არის, ეს დაუსრულებელი პროცესია, რომელსაც საფარის დაგება და მერე მოვლა ჰქვია. ჰოდა, ვქნათ ამ მიმართულებით, ხალხო, რამ! ძალიან კარგი იქნება, ჩვენს ფეხბურთელებს ერთმანეთისთვის ბურთის გადაწოდების საშუალებას საბოლოოდ თუ არ მოვუსპობთ.....

და, იცით, რას გეტყვით? კიდევ ყოჩაღ ამ ჩვენს მოთამაშეებს, ასეთ პირობებში რამდენიმე კარგი მატჩი რომ გამოადნეს. არ ვხუმრობ და, როგორც ადრეც მითქვამს, არც პრემიერლიგის და ქართული ლიგის დონეებს ვურევ ერთმანეთში, მაგრამ მარტო ბოლო ტურში რამდენიმე ისეთი თამაში გაიმართა, სტადიონზე წასვლად აშკარად რომ ღირდა. მაგალითად, „დინამო“ — „მგლები“ და „სიონი“ — „მესხეთი“. წინა ტურებშიც იყო მოსაწონი, ივივე „ამერი“ — „ბორჯომი“ თუ სხვა...

რასაკვირველია, იყო ისეთი მატჩებიც, სიცივე რომ არა, მაყურებელს ტრიბუნაზე ჩაგეძინებოდა და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ასეთი თამაშები სულაც არ გახლავთ მაინცდამაინც ჩაწყობილი. დიახ, ქართველთა ჩემპიონატს არც ჩაუწყობელი ბობღვა აკლია, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის განვითარების ამ ეტაპზე კარგი თამაშები რომ იმართება, უკვე ხელჩასაჭიდია და ჩვენც, მოდი, ჩავებღაუჭოთ.

რაც შეეხება ჩაწყობებს, აკი ფედერაციამ თქვა, ამიერიდან საქმეში პროკურატურას ჩავრთავთო და... ისე, ნეტავ, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს; ნეტავ, ხელთ უბრალო კამპანია არ შეგვრჩეს, რომელსაც დრო გაუვა, ჩაკვდება და მერე ირონიული ღიმილით გახდება მოსაგონარი.

ღიმილი კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ ირონიული როდი არსებობს, ადამიანებს კმაყოფილების გამომხატველი ღიმილიც სჩვევიათ: მეორე წრეში ექვსი ტური ჩატარდა და ამ ექვს ტურში ბლომად ლამაზი გოლის მოწმენი შევიქენით. მათგან, თქვენი ნებართვით, ორს გამოვარჩევდი — რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ორივე „ამერთან“ არის დაკავშირებული. პირველი ბორჯომელი გიორგი მეგრელაძის მიერ „ამერის“ კარში გატანილი „ვანბასტენურია“, მეორე კი ამერელი ლადო კაკაშვილის მიერ გორის „დილას“ კარში მოედნის შუიდან ჩაშვებული. საბედნიეროდ, ტელეკომპანია „კოლხიდას“ წყალობით მეგრელაძის „ვანბასტენური“ ქომაგმა ბევრჯერ ნახა. თან ეს გოლი „ბორჯომის“ თავდამსხმელისთვის საქართველოს ჩემპიონატებში მეასე გამოდგა და ამან ის ერთიორად დაამშვენა....

ბრავო, „ვიტ ჯორჯია“! აი, კიდევ რისი თქმა მინდა ამ ჯერზე. ვიტელებმა მეორე წრეში ყველა თამაში მოიგეს და თუ პირველი წრის გამარჯვებებსაც ზედ მივაბამთ, მიჯრით 13 გამოუდით — საქართველოს ჩემპიონატის რეკორდია! თან ვეტერინარებმა მეორე წრე ამ რეკორდის წინა მფლობელის, „ზესტაფონის“ ძლევით დაიწყეს, გზად კი, ზემოთ ნახსენებ „ოლიმპსაც“ აჯობეს. ერთი სიტყვით, გუნდი, რომელიც ყოველთვის ძლიერია, პირველი კი იშვიათად გახლავთ, ბოლოს „დინამოს“ ორად ორი ქულით ჩამორჩება და ვინძლო, მეორეც... მესამეობის ტრადიცია დაარღვიოს კიდეც, თუმცა ეს, ცხადია, „დინამოსაც“ უნდა ვკითხოთ... განა საქართველოს 12-გზის ჩემპიონი და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 1981 წლის თასების თასის ძველებელი კონკურენტს ადვილად დაუთმობს გზას?! ბოლოს და ბოლოს, „დინამოს“ ხომ გიორგი მერებაშვილი ჰყავს — მომკალით და, დღევანდელ მიმოხილვაში დუშან უჭრინის გუნდზე საუბრისას, უწინარეს ყოვლისა, მერებაშვილის ხსენება მინდა. რასაკვირველია, „დინამო“ ზოგადადაც „დინამოა“ და ხელში ბევრი კარგი მოთამაშე თუ კოზირი უჭირავს, მაგრამ ამ ბოლო დროს მერებაშვილი განსაკუთრებით გამოირჩევა და ეს უნდა ითქვას.

„ზესტაფონი“ კი... ისევ ძლიერია, მაგრამ სახეცვლილი და თითქოს ოდნავ „წონაში დაკლებული“. ორი გიორგი ჭელიძის და, მართალია, ხშირად სათადარიგოთა სკამზე მჯდომი, მაგრამ სწრაფი და ტექნიკური გოგი ფიფიას წასვლამ თავისი დაღი „იმერეთის სიამაყეს“ ალბათ მაინც დაასვა, თუმცა, „ზესტაფონის“ წონაში დაკლება სულაც არ ნიშნავს, რომ ეს გუნდი წლეულს ჩემპიონი ვერაფითარ შემთხვევაში ვეღარ გახდება. ნუ ვიჩქარებთ, ბატონებო!

სულ ბოლოს კი რაღაც თბილისის „ლოკომოტივში“ რატი ალექსიძის, ვიტალი დარასელიას და ლევან ცქიტიშვილის მისვლის შესახებაც უნდა ითქვას, მაგრამ რა? ფაქტია, ამ გამოცდილი სამეულის ვაკელთა გუნდში გამოჩენა „ლოკომოტივს“ ლიგაში დარჩენის შანსებს გაუზრდის, მაგრამ ვიტორანთა ტრიო თბილისური გუნდის ხვალინდელი და ზეგინდელი დღე რომ ვერ იქნება, ესეც ფაქტია. ასე რომ, თუ „მიხეილ მესხზე“ ივლით, ისამოვნეთ მათი ფეხბურთით, ოღონდ იფიქრეთ მომავალზე.

აი, მსაჯობაზე კი ამ წერილში აღარაფერს ვიტყვი, რადგან ძალიან მსხვილტანიანი თემაა და ფურცელს ჩაგვიწყვეტს.

დინამო	19	17	0	2	47:10	51
ვიტ ჯორჯია	19	16	1	2	37:10	49
ზესტაფონი	19	14	3	2	40:10	45
ამერი	19	11	2	6	34:21	35
ოლიმპი	19	9	4	6	17:15	31
ბორჯომი	19	8	4	7	25:22	28
მესხეთი	19	7	4	8	17:23	25
მგლები	19	7	3	9	16:20	24
სიონი	19	6	5	8	21:24	23
მერანი	19	5	1	13	11:32	16
სპარტაკი	19	4	4	11	8:21	16
ლოკომოტივი	19	3	5	11	11:25	14
ბათუმი	19	3	3	13	9:33	12
დილა	19	1	5	13	8:37	8

მილანი ვან ნისტელროის ნაკვალევზე



ესპანური „სპორტის“ ვერსიით, რუუდ ვან ნისტელროის მადრიდის „რეალის“ მიტოვება ჩაუფიქრებია. მას სამეფო გუნდთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და მადრიდელები ხელშეკრულებას ავტომატურად გაუახლებენ, თუ ჰოლანდიელმა „ბერნაბეუზე“ გატარებულ ბოლო სეზონში 35 ოფიციალურ მატჩში ითამაშა.

ეს ყველაფერი კარგი, თუმცა რუუდს „რეალთან“ კონტრაქტის განახლებისას უთქვამს, სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კლუბის დატოვება ვადამდე ადრე უნდა შეძლოსო.

საქმე ის გახლავთ, რომ ექსმანჩესტერელს უნდა, ბედი იტალიურ სერია A-შიც მოსინჯოს. შეგახსენებთ, რომ ვან ნისტელროი ჰოლანდიის ჩემპიონატის მთავარმეგოლეპსვ-ში ბურთაობისას გახდა (1998-99; 31 გოლი), ეს ტიტული პრემიერლიგაში მაშინ მოიპოვა, როცა „მანჩესტერში“ თამაშობდა (2002-03; 25 გოლი), მერე ესპანურ ლა ლიგაშიც ჩაუდგა მეგოლეთა სიას სათავეში, როგორც მადრიდის „რეალის“ მოთამაშე (2006-07; 25 გოლი).

„სპორტი“ გვაცნობებს, რომ ფეხბურთელი მეგობრებთან საუბარში იტალიაში გადასვლის ვარიანტს სულ უფრო ხშირად ახსენებს. თუ რუუდი სერია A-ს მკვიდრი გახდა და იქაც გოლების კორიანტელი დაყენა, მსოფლიოში ერთადერთი მობურთალი იქნება, ჰოლანდიის, ინგლისის, ესპანეთისა და იტალიის მთავარმეგოლეობას რომ შეირგებს.

დღეს ვან ნისტელროი ტრავმის გამო იძულებულია, ფეხბურთს ოდენ ტრიბუნიდან უცქიროს. ამბობენ, რომ მისი წარმომადგენლები მოლაპარაკებას „მილანთან“ მართავენ და აპენინური გრანდიც მზადაა, გოლზე დაგეშილ კაცში 7 მილიონი ევრო გადაიხადოს (ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დიდი დროგბამ „როსონერის“ „რეალი“ ამჯობინა). იტალიელებთან კონტაქტი „რეალის“ ზურგსუკან შედგა, რაც, ბუნებრივია, მადრიდელებს არანაირად არ მოეწონებოდათ.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ვან ნისტელროის „სანტიაგო ბერნაბეუს“ მიტოვება სურს. ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე „რეალი“ დიდ შეტევას გეგმავს და გაზეთებიც სამეფო გუნდის სავარაუდო მოიერიშეთა სახელებმა ააჭრელა — დროგბა, ჰუნტელაარი, პავლიუჩენკო, ფლეტჩერი, ლუიშ ფაბიანუ... ყოველ მათგანს, მადრიდში გადაბარგების შემთხვევაში, ძირითადში რუუდის შეკვიწროება შეუძლია. თანაც უკვე დიდი ხანია, რაც ჰოლანდიელი ჭაბუკობის ასაკს გადასცდა — 1 ივლისს 32 წელი შეუსრულდება.

ლადო ხოფერია

ესეც გაზა!

ვაი, საწყალო გაზა! ინგლისური ფეხბურთის 40 წლის ლეგენდა, რომელიც სულ რამდენიმე კვირის წინ გამოწერეს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან, ახალ შარში გაეხვა: ტაქსი იქირავა, მგზავრობა 400 გირვანქა დაუჯდა და ფული აღარ გადაიხადა.

ეს ძალიან მოკლე შინაარსია იმისა, რაც მოხდა, ვრცლად კი ქვემოთ მოგახსენებთ. ტაქსის მძღოლი, 30 წლის ჰანსალ აზიზი ყვება:

„მან ნიუკასლის ცენტრალურ სადგურთან ამიყვანა და ბირმინგემში მთხოვა წაყვანა. 400 გირვანქისა და ზედაც ფეხის ქირის დატოვებას დაპირდა.

მანქანაში ის ხან მეგობრულად მექცეოდა, ხანაც აგრესიული გახლდათ. სულ მობილურით ლაპარაკობდა.

ერთხელ მან მამამისს დაურეკა და უთხრა, ისევ გასაჭირში ვარო. მამამისსვე მოახსენა, რომ ორი ბოთლი ღვინო ჰქონდა დალეული.

მოულოდნელად ჩაეძინებოდა ხოლმე. ერთ-ერთი გაღვიძების დროს ჩამაცივდა, მეორე მძღოლი სად წავიდაო. შეშფოთებული ჩანდა. შემდეგ მკითხა, ჩემი ღვინო სად წაიღეო. მთელი 180-მილიანი მგზავრობის განმავლობაში ჩიპსებს ჭამდა და თან როგორ, აიღებდა ახალ პარკს და ისე ხსნიდა, რომ კარტოფილი მთელს მანქანაში იპნეოდა.

ტყავის ჩანთითაც ჰქონდა რაღაც საჭმელი წამოღებული. ჩანთა სკამზე დადო. მეუბნებოდა, ჩანთაში გაყინული კერძი მიდევსო. მანქანაში იმდენ ხანს მოგვიწია ყოფნამ, რომ კერძი გათბა და რაღაც მასად იქცა.

კიდევ, ჩანთაში სათამაშო დათვი ედო. რად უნდოდა, არ ვიცი. გაუთავებლად ლაპარაკობდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა. შემდეგ „ბარდაჩოკი“ გააღო და იქიდან ქვითრების გადაყრა დაიწყო.

მთელი გზა იმეორებდა, რომ მალე ვარჯიშს შეუდგება და „ნიუკასლ იუნაიტედში“ დაიწყებს თამაშს. ამბობდა, კევინ კეგანთან ადრეც მიმუშავიაო“.

გზად, M1-ზე (ტრასის [illegible] როდესაც მანქანამ Woolley Edge-ის სერვის ცენტრთან ჩაიარა, გაზამ მძღოლს გაჩერება სთხოვა, ძალიან დავიღალე, სასტუმროში მოსვენება მჭირდებაო, მაგრამ რიდესაც მისაღებში გოგონამ უარით გამოისტუმრა (თავისუფალი ნომერი არ იყო), ყვირილი ატეხა.

უარით გამოსტუმრებულმა გაზამ და ჰანსალ აზიზმა გზა Leicester Forest East სერვისისკენ განაგრძეს, სადაც ყოფილმა ვარსკვლავმა საქველმოქმედო მანქანა დაინახა და იქ გადაჯდა.

და ჰანსალ აზიზის საქმე როგორ დამთავრდა? პოლ გესქოინმა უთხრა, რომ ფული არ აქვს...

მძღოლი: „ის საღამო ძალიან ძვირად დამიჯდა. მგზავრობის ფასი, საწვავის ფული და შემოსავალი, რომელსაც მივიღებდი, ის რომ არ ჩამესვა, დავკარგე“.

პოლიცია საქმის გამოძიებას აწარებს. ამბობენ, რომ აღამიანის ასე „გაძარცვისთვის“ ინგლისური კანონი ორწლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

პაპუნა კედია

კაპელოს პირველი აპრილი

ინგლისის ნაკრებში ინგლისურის პრობლემაა: ფაბიო კაპელომ კაპიტულაცია გამოაცხადა. დიახ, გასაკვირი არაფერია. როგორც ბრიტანული მასმედია იუწყება, 61 წლის იტალიელმა მწვრთნელმა დიდი ოფლისღვრის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ახალ ენას უკეთ ვეღარ სწავლობს და არათუ თავანკარა ცოდნის, ცოტა უფრო მეტი ყოველდღიური ფრაზის დამახსოვრების უნარიც აღარ აქვს. მეტიც, ინგლისელთა თავკაცს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მან დრო გაფლანგა და სტადიონებზე სიარულისთვის ასე აუცილებელი დრო კლასში ინგლისურის მასწავლებელთან ჯდომას მიახარჯა.

კაპელოს თარჯიმანი ენდი ფრეიზერი:

„გამართული ინგლისურით მოლაპარაკე ფეხბურთელების, მაგალითად დევიდ ჯეიმსისა და ოუენ ჰარგრივზის ნუბარი ფაბიოს კი ესმის, მაგრამ სტივენ ჯერარდისა და უეინ რუნის ნათქვამს ვერაფრით იგებს და ფიქრობს, რომ სჯობს, მათ ისწავლონ იტალიური. მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ რამოდენიმე თვეში ფეხბურთელები იტალიურად ნათქვამს გაიგებენ. სწორედ ამიტომ თქვა გასულ კვირაში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ მის ნამდვილ ინგლისურს აგვისტომდე ვერავინ გაიგებს“.

ფაბიო კაპელომ თარჯიმნის ეს სენსაციური განცხადება გუშინ, 1 აპრილს დაადასტურა და ზედაც დასძინა, რომ მისი განკარგულებით, ინგლისის ნაკურების ფეხბურთელები, მათ შორის ხსენებული ჯერარდი და რუნი ვალდებულნი გახდებიან, მასთან ერთად ოპერაშიც იარონ.



პაპუნა კედია

მექსიკამ სანჩესი მოხსნა

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ უგო სანჩესს ქვეყნის ნაკრების მწვრთნელობა დაატოვებინა, რაკი გუნდი ოლიმპიადაზე ვერ მოხვდა. სანჩესის მექსიკამ კონკაკაფ-ში თავი ვერ გამოიჩინა და პეკინის ოლიმპიური თამაშები ამ გუნდის გარეშე ჩაივლის.

წარსულში მადრიდის „რეალისა“ და მექსიკის ეროვნული გუნდის ლეგენდარული ფეხბურთელი ნაკრების მწვრთნელად 2006 წლის მიწურულს დანიშნეს და კონტრაქტი 2010 წლამდე გაუფორმეს. უგომ 15 მატჩი მოიგო, 4 ფრედ დაამთავრა და 9 წააგო. მისი ხელმძღვანელობით მექსიკამ გასულ წელს ოქროს თასის ფინალში გააღწია, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან დამარცხდა, კოპა ამერიკაზე კი სანჩესის ბიჭებმა მესამე ადგილი მოიპოვეს.

ამჟამად მექსიკას ხესუს რამირესი თაოსნობს, რომელმაც 2005 წელს პერუში გამართულ ჩვიდმეტწლამდელთა მუნდიალზე ნორჩთა ნაკრებს ოქროს მედლები მოაპოვებინა. რამირესი ფეხბურთელობისას „პუმასა“ და „ატლანტეში“ გამოდიოდა, როგორც მწვრთნელს კი მაღალი დონის საკლუბო ან სანაკრებო გუნდთან არასოდეს უმუშავია.

ლადო ხოფერია

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ
ᲡᲚᲝᲢ ᲞᲝᲙᲔᲠ ᲙᲚᲣᲑᲘ VEGA

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ 2007–2008
ᲛᲔᲝᲗᲔᲡᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ. ᲓᲦᲔᲡ

ᲓᲦᲔᲡ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: 200, 201, 202

ᲢᲣᲠᲔ ᲓᲐ ᲯᲔᲠᲐᲠᲓᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ — ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ
ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ: ალმუნია; კ. ტურე, გალასი, სენდეროსი, კლიში; დიაბი, ფლამინი, ფაბრეგასი, გლები; ადებაიორი, ვან პერსი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ: რეინა; კარაგერი, ჰიიპია, შკრტელი, რიისე; ბენაიუნი, ჯერარდი, მასკერანო, ხაბი ალონსო, ფ. აურელიო; ფ. ტორესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მსაჯი: პეტერ ვინკი (ჰოლანდია)

„ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡᲐ“ და „ლივერპულის“ მეტოქეობის 115-წლიან ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერება — ევროთასებზე ერთმანეთს ხომ არასოდეს შეხვედრიან. ისე კი დღევანდელი მატჩი ორივესთვის საიუბილეო იქნება — „არსენალი“ — „ლივერპული“ მეორასედ გაიმართება. 202-მდეც მალე მივლენ, რაკი შაბათს პრემიერლიგაშიც ხვდებიან და მომდევნო კვირაში მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი გაიმართება.

კოლო ტურეს მიაჩნია, რომ „წითლებს“ მათი ეშინიათ, ფაქტად კი შარშანდელი ამბავი მოიყვანა. „წინა სეზონში ოთხჯერ ვეთამაშეთ (ლიგისა და ასოციაციის თასებზე და პრემიერლიგაში) და სამჯერ ვაჯობეთ — თქვა „მეთოფეთა“ მცველმა — რითაც დავამტკიცეთ აშკარა უპირატესობა“.

სტივენ ჯერარდი კი პირიქით ფიქრობს, მისი აზრით მეტოქეებს „ლივერპულის“ გაგონებაზე მუხლებში აკანკალებთ. „ბოლო სამ წელიწადში ორჯერ გავედით ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ერთხელ მოვიგეთ. ეს ნიშნავს, რომ ამ ტურნირში განსაკუთრებით კარგად ვთამაშობთ და ჩვენთან შეხვედრა არავის უხარია“ — განაცხადა „წითლების“ კაპიტანმა.

ორივე მხარეს საკუთარი ფაქტები და არგუმენტები აქვს, სტატისტიკაში კი წერია, რომ 2000 წლის 13 თებერვლის შემდეგ „ლივერპულს“ სტუმრად „არსენალისთვის“ არ მოუგია.

არსენ ვენგერმა აღნიშნა, რომ ეს ორი მატჩი ნერვების შეჯიბრი იქნება და მოიგებს ის, ვინც ფსიქოლოგიურად უკეთ მომზადებულია.

„პრემიერლიგის გუნდთან ევროთასებზე თამაში ჩემპიონატის მატჩისგან ძალიან განსხვავდება — თქვა ფრანგმა — ასეთ შეხვედრებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია განწყობა, რადგან ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და ახალს არაფერს ველით.

და კიდევ, შინ გოლის გაშვება არავის უნდა, რაც შეიძლება დამღუპველი გამოდგეს, ამიტომ ყველა ფრთხილობს. ცხადია, ჩვენ დღეს მოგებას შევეცდებით, მაგრამ 0:0-ზეც არ ვიტყვი უარს, ასეთი შედეგი ხელს გვაძლევს, რადგან საპასუხო მატჩში მასპინძლები იძულებულნი იქნებიან, შეგვიტიონ, ჩვენ კი კონტრშეტევაზე თამაშის საშუალება მოგვცემა“.

ბოლო ათ მატჩში 11 გოლის გამტანმა ფორვარდმა ფერნანდო ტორესმა განაცხადა: „კარგი იქნება, გოლს თუ გავიტანთ. საპასუხო მატჩისთვის ამით საქმეს გავიადვილებთ.“ გასულ კვირას, მერსისაიდულ დერბიში „ლივერპულმა“ შინ „ევერტონს“ ტორესის გოლით მოუგო. ამ სეზონის პრემიერლიგაში ესპანელმა 21-ჯერ გაიტანა, მაგრამ გასვლით მატჩებში მაინცდამაინც ვერ ყოჩაღობს: ოცდაერთიდან ცხრამეტი „ენფილდზეა“ გატანილი.

„ლივერპულის“ ლეგენდარული თავდამსხმელის იან რაშის აზრით, ტორესი იმითაა განსაკუთრებული, რომ ორივე ფეხით კარგად თამაშობს და როცა ბურთს იღებს, მცველი ვერ ხვდება, რომელი ფეხით დაარტყამს.

რაც შეეხება „არსენალისა“ და „ლივერპულის“ ორმატჩიან ჯაჭს, რაშმა თქვა: „რაფაელ ბენიტესის გუნდი ალბათ შეეცდება, მეტოქეს ბურთის გაგორების საშუალება არ მისცეს. „მეთოფეები“ ხომ ამის ოსტატებია არიან და თუ გაილაღეს, აუცილებლად გაიტანენ. ლონდონში ფრეს თუ გაახერხებენ, კარგი იქნება, რადგან „ენფილდზე“ „ლივერპულს“ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია“.

„არსენალმა“ შაბათს დრამატულ მატჩში სტუმრად „ბოლტონი“ 3:2 დაამარცხა. „მეთოფეები“ ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ და მეორე ტაიმში სამით უპასუხეს, მიუხედავად იმისა, რომ 30-ე წუთზე დიაბი გაუძევეს. პრემიერლიგაში „არსენალს“ ზედიზედ ხუთ ტურში ვერ მოეგო და გამარჯვება წამალივით სჭირდებოდა. რობინ ვან პერსიმ პენალტი გაიტანა და ეს იყო მისი პირველი გოლი ბოლო ათ თვეში ნახევარ წელიწადში — ტრავმის გამო ხუთი თვე გაუცდა [illegible] ფორმაში შედის. არსენ ვენგერი ალენდიელს დღეს ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს.

„მეთოფეებს“ ტრავმირებული [illegible] სანია დაკლდებათ, რომელსაც ფილიპ სენდეროსი შეცვლის, „ლივერპულიდან“ კი ჯანს არავინ უნდის ერთი ეგაა, ამ ინგლისურ გარიგებაში, ალბათ მხოლოდ ორი ინგლისელი გაერევა — სტივენ ჯერარდი და [illegible] კარაგერი. დანარჩენები, აქეთაც და იქეთაც, ლეგიონერები არიან.

კოლო ტურეს მერსისაიდის არ ეშინია

ᲕᲐᲪᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲐᲙᲣᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲒᲘᲯᲔ



ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲙᲐᲠᲚᲝᲡᲘ: ᲤᲔᲜᲔᲠᲑᲐᲰᲩᲔ ᲒᲐᲓᲐᲪᲛᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲐ

ᲤᲔᲜᲔᲠᲑᲐᲰᲩᲔ — ᲩᲔᲚᲡᲘ
ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲤᲔᲜᲔᲠᲑᲐᲰᲩᲔ: ვოლქანი; ონდერი, ლუგანო, ედუ დრაჩენა, რ. კარლოსი; ალექსი, მეპმეთი, კ. მალდონადო, ულური; დეივიდი, კეუმანი
მწვრთნელი: ზიკო
ᲩᲔᲚᲡᲘ: კუდიჩინი; პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული; ესიენი, მაკელელე, ლამპარდი; ჯ. კოული, დროგბა, კალუ
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

34 ᲬᲚᲘᲡ ბრაზილიელი მცველი რობერტო კარლოსი „ჩელსის“ ემუქრება. მისი აზრით, „ფენერს“ ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს, რადგან დღეს საუცხოო ფორმაშია.

„ჩვენ ახლა ისე ვთამაშობთ, როგორც „რეალი“ სუკეთესო წლებში — თქვა ყოფილმა რეალელმა — ყველა ჩემი თანაგუნდელი დარწმუნებულია, რომ „ჩელსის“ გავლა შეგვიძლია. ბოლო ოთხ სეზონში უფრო მეტი ჯილდო მოვიგეთ, ვიდრე მადრიდის „რეალმა“. მერვედფინალში „სევილიას“ დამარცხებამ თითოეულ ჩვენთაგანს თავდაჯერებულობა შემატა. დღეს 60 ათასი გიუმაჟი ქომაგი მხარს დაგვიჭერს. ისინი განსაკუთრებულნი არიან და არაჩვეულებრივ განწყობას ქმნიან. ევროპის საუკეთესო რვა გუნდში ვართ და ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ არ განვიცდით ისეთივე წნეხს, როგორსაც სხვა გრანდები — მაგალითად, „მანჩესტერი“, „ჩელსი“ ან „ბარსელონა“.

რობერტო კარლოსს კვერი დაუკრა ყოფილმა ჩელსელმა და ამჟამად ფენერელმა მატეა კეუმანმა: „შუქრუ სარაჯოღლუზე“ გადასარევი ატმოსფეროა. აქ არაჩვეულებრივი აკუსტიკაა და ჩვენი ქომაგების ღრიანცელი ნებისმიერ მეტოქეზე დამთრგუნველად მოქმედებს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ „ჩელსის“ კარგი დღე არ დაადგება. ხალხს ჯერაც არ სჯერა, რომ ჩვენ მეოთხედფინალში გავედით. შეიძლება ზიკო არაა სახელოვანი მწვრთნელი, მაგრამ დიდებული პიროვნებაა და „ფენერის“ აღზევება მისი დამსახურებაა. ნახევარფინალში თუ ვერ გავალთ, არავინ დაგვძრახავს, ხოლო თუ „ჩელსის“ ორ მატჩში ვაჯობებთ, გმირებად შეგვრაცხავენ.“

„ფენერბაჰჩეს“ ისტორიაში ეს უმნიშვნელოვანესი და აუცილებლად მოსაგები მატჩია — განაცხადა ზიკომ — ისევე ყოჩაღად უნდა ვითამაშოთ, როგორც „ინტერთან“ ჯგუფურ ეტაპზე და დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთ“.

ნიკოლა ანელკამ, რომელმაც „ფენერბაჰჩეში“ წელიწადნახევარი გაატარა, კარგად იცის, რა საგიჟეთიცაა „შუქრუ სარაჯოღლუზე“ და თანაგუნდელები გააფრთხილა. „ბიჭებს უკვე მოვუყევი იქაური ამბები — განაცხადა ფრანგმა — მაგრამ ჩვენთვის ამით საქმე არ გაიოლდება. „ფენერის“ ფანები ყველასგან განსხვავებულნი არიან და მოწინააღმდეგეზე საშინლად მოქმედებენ. თვრამეტი თვე გავატარე სტამბოლში და მართალი გითხრათ, გამიხარდა, წილისყრამ ჩემი ყოფილი გუნდი რომ გვარგუნა, რადგან ბევრ ნაცნობ-მეგობარს ვნახავ. „ფენერბაჰჩემ“ ბოლო ოთხ წელიწადში თურქეთის ჩემპიონატი სამჯერ მოიგო და ახლა კლუბის პრეზიდენტს ჩემპიონთა ლიგის მოგება ამოუჭრია გულში. ძალზე ძლიერი და დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავთ, ამიტომაც ვფიქრობ, რომ უმძიმესი მატჩი გველის“.

გასულ უქმეებზე სტამბოლეული დერბიში „ფენერბაჰჩემ“ „ბეშიქთაშში“ 2:1 დაამარცხა და [illegible] ბრაზილიელმა ალექსმა შეაგდო მასპინძლებს დღეს ტრავმირებული ნახევარმცველი ულურ ბორალი და დისკვალიფიცირებული მცველი გოქან გონული დააკლდებათ.

რაც შეეხება „ჩელსის“, ამ გუნდმა პრემიერლიგის ბოლო ექვს ტურში ხუთი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა, ხოლო წინა კვირას რიკარდუ კარვალიუს გოლით „მიდლსბროს“ სძლია. ეს მატჩი ტრავმის გამო ფრენკ ლამპარდმა ვერ მოტოვა, მაგრამ გამოკეთდა და დღეს ითამაშებს, თუმც კვლავ საეჭვოა პეტრ ჩეხის გამოჩენა და კარში კარლო კუდიჩინი ჩადგება.

ჯო კოულმა განცხადა: „ფენერბაჰჩესთან“ ბევრად უკეთ უნდა ვითამაშოთ, ვიდრე „მიდლსბროსთან“. მეტოქის შეუფასებლობა არ [illegible] და თავი ნახევარფინალში არ უნდა დავიგულოთ“.

ᲕᲐᲪᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

უეფას თასი 2007-2008
მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

მახსოვს, რომ რაღაც მახსოვდა

ლევერკუზენი (გერმანია) — ზენიტი (რუსეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია) — სპორტინგი (პორტუგალია)
ბაიერნი (გერმანია) — ხეტაფე (ესპანეთი)
ფიორენტინა (იტალია) — პსვ (ჰოლანდია)

მეოთხედფინალისტებიდან აღრე ერთმანეთს მხოლოდ „რეინჯერსი“ და „სპორტინგი“ შეხვედრიან და ის ორმატჩიანი დუელი კურიოზით დასრულდა.

1971-72 წლების თასების მფლობელთა თასის მეორე ეტაპის პირველ მატჩში „ჩაფრებმა“ შინ ლისაბონელები 3:2 დაამარცხეს. საპასუხო თამაშის ძირითადი დრო ასეთივე ანგარიშით „სპორტინგის“ გამარჯვებით დასრულდა.

დამატებითში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და ორი შეხვედრის ჯამში 6:6 გახდა. მსაჯმა პენალტების სერია დანიშნა, რომელშიც მასპინძლებმა იყოჩაღეს და ზეიმობდნენ, მაგრამ...

გლაზგოელები გასახდელში ცხვირჩამოშვებულები ისხდნენ, როცა კარზე დააკაკუნეს. მაკანმა შოტლანდიელმა ჟურნალისტმა ძწვრთნელს უილი უოდელს უთხრა, რომ მსაჯს უეფას ახალი წესი დაავიწყდა, პენალტები არ უნდა დაენიშნა და სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით მომდევნო ეტაპზე „რეინჯერსი“ გავიდაო.

„ეს იყო დაუჯერებელი ამბავი — გაიხსენა იმ მატჩში გოლის გამტანმა უილიამ ჰენდერსონმა — რაღაც კი მახსოვდა სტუმრად გატანილი გოლის თაობაზე, მაგრამ იმ მომენტში ყველას გვეგონა, რომ დავმარცხდით და ხელებში თავჩარგულები ვისხედით. ამ დროს მწვრთნელს დაუძახეს და რამდენიმე წუთის შემდეგ უოდელი გასახდელში გახარებული შემოვარდა. ეს წუთები უსასრულოდ გვეჩვენა, რადგან არ ვიცოდით, რა ხდებოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა გასახდელში, როცა გავიგეთ, რომ თურმე ჩვენ მოგვიგია“.

იმ სეზონში „რეინჯერსი“ ფინალში გავიდა და მოსკოვის „დინამო“ 3:2 დაამარცხა.

„ჩაფრებმა“ ხუთჯერ უმასპინძლეს პორტუგალიელებს და ყველა შეხვედრა მოუგეს, ხოლო „სპორტინგი“ ამდენჯერვე ეწვია შოტლანდიას და ხუთჯერვე დამარცხდა.

„რეინჯერსმა“ გასულ შაბათს „სელტიკს“ 1:0 სძლია კევინ ტომპსონის გოლით, რომელიც მსუბუქად დაშავდა, მაგრამ 23 წლის ნახევარმცველი სადღეისოდ მზად იქნება.

გუნდი კარგ ფორმაშია და ბოლო 25 მატჩში ყველა ტურნირში მხოლოდ ერთხელ წააგო, ჩემპიონატში კი „სელტიკს“ 6 ქულით უსწრებს.

„სპორტინგმა“ კი კვირას „ნავალს“ სტუმრად 4:1 მოუგო. ლიდსონმა დუბლი შეასრულა, ხოლო დიალომ და ველოზუმ თითო გაიტანეს. ჩემპიონთა ლიგიდან უეფას თასზე გადმონაცვლების შემდეგ ლისაბონელებმა ოთხიდან სამ შეხვედრაში იმარჯვეს და ერთი ფრედ დაასრულეს.

„ფიორენტინამ“ ევროთასებზე 105 მატჩი ითამაშა, ამ სეზონამდე ჰოლანდიურ გუნდს არ გადაჰყრია, ამჯერად კი უკვე მეორეს ხვდება. პირველ წრეში „იებმა“ „ვრონინგენს“ სძლიეს, ახლა პსვ-სთან ჯახი მოუწევთ.

ეინდჰოვენელები რვაჯერ ესტუმრნენ იტალიას, ორჯერ მეტოქეს დაუზავდნენ, დანარჩენი კი წააგეს.

„იები“ შაბათს სერია A-ში უდინეში 1:3 დამარცხდნენ და გოლი კრისტიან ვიერის ანგარიშზეა, ხოლო პსვ „ნაიმეგენს“ სტუმრად უგოლოდ დაუზავდა.

აღსანისნავია, რომ „ფიორენტინას“ შინ თუ უეფას თასზე, უკვე ცამეტი მატჩია, ფრე არ უთამაშია, ეინდჰოვენელებმა კი, ისევე, როგორც „სპორტინგმა“, ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის მერე, ოთხიდან სამ მატჩში იმარჯვეს და ერთხელ მეტოქეს დაუზავდნენ.

„ლევერკუზენი“ „ზენიტს“ უმასპინძლებს და შეეცდება, უეფას თასზე ზედიზედ მეექვსე საშინაო შეხვედრა მოიგოს. თავის მხრივ, პეტერბურგელებმა ამ ტურნირში სტუმრად ბოლო მატჩი წააგეს, თუმც სახლში კარგი ტამაშის წყალობით მეოთხედფინალამდე მივიდნენ.

რუსეთის ახალდაწყებულ პრემიერლიგაში შარშანდელ ჩემპიონს სამი ტურის შემდეგ ოთხი ქულა აქვს. კვირას „ზენიტი“ სანკტ-პეტერბურგში „რუბინთან“ 1:3 დამარცხდა.

9 თებერვლიდან 23 მარტამდე „ხეტაფეს“ ერთი მატჩიც არ წაეგო ყველა შეჯიბრში, მაგრამ, ეტყობა, დაიღალა და პრიმერადივიზიონში ბოლო ორ ტურში ზედიზედ ორჯერ ისე დამარცხდა, რომ გოლიც ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, უეფას თასზე „ხეტაფეს“ 4 ოქტომბრის შემდეგ სტუმრად არ წაუგია და „ბაიერნსაც“ იოლი გასეირნება არ ელის.

ვაჟა ხუციშვილი

„ჩაფრებმა“ „მუსიკოსები“ მოინელეს და პორტუგალიელებსაც ემუქრებიან

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXI ტური

მონაკო 1:2 რენი

0:1 ჰანსონი (15), 1:1 სამბუ (37), 1:2 პაგისი (90)

ლიონი	31	21	4	6	64:29	67
ბორდო	31	17	7	7	54:34	58
ნანსი	31	13	13	5	35:22	52
მარსელი	31	13	10	8	44:33	49
რენი	31	12	8	11	35:36	44
ლე მანი	31	12	8	11	35:38	44
ნიცა	31	10	13	8	27:24	43
ლილი	31	9	15	7	34:26	42
ლორიანი	31	10	12	9	27:31	42
ვალანსიენი	31	11	8	12	37:31	41
სენტ ეტიენი	30	11	7	12	33:31	40
კაენი	31	10	10	11	34:43	40
ოსერი	31	11	7	13	29:39	40
სოშო	31	9	11	11	28:34	38
მონაკო	31	10	7	14	31:39	37
სტრასბური	30	9	8	13	29:34	35
ლანსი	30	8	10	12	34:39	34
ტულუზი	31	7	13	11	28:34	34
პსჟ	30	7	11	12	27:34	32
მეცი	31	4	6	21	21:55	18

II დივიზიონი. XXX ტური

ტრუა 0:2 ნანტი

ლე ავრი	30	19	8	3	54:26	65
ნანტი	30	18	8	4	47:24	62
ტრუა	30	15	8	7	40:29	53
გრენობლი	30	13	9	8	36:27	48
კლერმონი	30	11	12	7	41:33	45
სედანი	30	11	11	8	38:34	44
ბასტია	29	12	7	10	37:30	43
მონპელიე	30	11	10	9	31:24	43
ანჟერი	30	11	10	9	28:27	43
ბრესტი	30	11	9	10	30:34	42
გენგამი	30	10	10	10	29:28	40
აიაჩო	30	9	10	11	28:36	37
შატორუ	30	9	9	12	28:32	36
რეიმსი	29	9	7	13	33:42	34
ამიენი	30	8	9	13	36:41	33
ბულონი	30	9	6	15	32:44	33
დიჟონი	30	7	12	11	26:40	33
ნიორი	30	8	6	16	30:42	30
ლიბურნი	30	6	9	15	34:46	27
გენიონი	30	2	10	18	28:47	16

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVI ტური

ოსნაბრიუკი 2:0 ლაუტერნი

გლადბახი	26	14	9	3	48:27	51
ჰოფენჰაიმი	26	13	8	5	41:30	47
კიოლნი	26	13	6	7	46:33	45
მაინცი	26	11	10	5	43:27	43
ფრაიბურგი	26	11	10	5	36:29	43
ფიურტი	26	11	8	7	42:31	41
ვეჰენი	26	9	10	7	40:38	37
კობლენცი	26	9	9	8	32:33	36
მიუნხენი	26	8	11	7	34:29	35
ალემანია	26	8	9	9	35:38	33
ოსნაბრიუკი	26	8	7	11	35:45	31
აუგსბურგი	26	8	6	12	31:37	30
ზანკტ პაული	26	7	9	10	31:39	30
ოფენბახი	26	7	9	10	30:44	30
ლაუტერნი	26	5	10	11	25:30	25
აუე	26	6	6	14	35:45	24
კარლ ცაისი	26	5	7	14	36:50	22
პადერბორნი	26	4	10	12	20:35	22

ნორვეგია

ტიპელიგა. I ტური

რუსენბორგი 2:1 ლინი

ბრანი	1	1	0	0	4:2	3
ბოდიო გლიმტი	1	1	0	0	2:0	3
რუსენბორგი	1	1	0	0	2:1	3
ვოლერენგა	1	1	0	0	1:0	3
ვიკინგი	1	1	0	0	1:0	3
ტრომსიო	1	0	1	0	1:1	1
ლილესტრიომი	1	0	1	0	1:1	1
სტაბეკი	1	0	1	0	0:0	1
მიოლდე	1	0	1	0	0:0	1
ლინი	1	0	0	1	1:2	0
ალესუნდი	1	0	0	1	0:1	0
სტრომსგოდსეტი	1	0	0	1	0:1	0
ფრედრიკსტადი	1	0	0	1	2:4	0
ჰამ კამი	1	0	0	1	0:2	0

პორტუგალია

სუპერლიგა. XXIV ტური

სეტუბალი 3:1 ბუბგმოუთი

0:1 ჟ. რიბეირუ (7), 1:1 გამა (19), 2:1, 3:1 პიტბული (37, 65)

პორტუ	24	19	3	2	43:9	60
ბენფიკა	24	11	11	2	40:16	44
გიმარაეში	24	13	5	6	27:23	44
სპორტინგი	24	11	7	6	36:22	40
სეტუბალი	24	10	10	4	34:23	40
ბრაგა	24	8	10	6	27:25	34
ბელენენსეში	24	8	9	7	25:26	33
ნასიონალი	24	8	8	8	18:19	32
მარიტიმუ	24	9	4	11	27:25	31
ბოავიშტა	24	7	10	7	30:37	31
ამადორა	24	6	10	8	29:29	28
აკადემიკა	24	4	11	9	23:35	23
ნავალი	24	6	5	13	18:39	23
ლეიშოეში	24	3	13	8	23:29	22
ფერეირა	24	5	4	15	23:40	19
ლეირია	24	1	6	17	18:44	9

შვედეთი

ალსვენსკა. I ტური

ლიუნგსკილე 0:1 ჰამარბი

იორებრო 1:0 ტრელებორგი

სუნდსვალი 0:3 ჰელსინგბორგი

მალმიო 1:1 გიოტებორგი

ჰელსინგბორგი	1	1	0	0	3:0	3
იურგორდენი	1	1	0	0	2:1	3
იორებრო	1	1	0	0	1:0	3
ჰალმსტადი	1	1	0	0	1:0	3
ჰამარბი	1	1	0	0	1:0	3
ელფსბორგი	1	0	1	0	1:1	1
მალმიო	1	0	1	0	1:1	1
გიოტებორგი	1	0	1	0	1:1	1
გაის	1	0	1	0	1:1	1
კალმარი	1	0	1	0	0:0	1
აიკ	1	0	1	0	0:0	1
ნორჩიოპინგი	1	0	0	1	1:2	0
გეფლე	1	0	0	1	0:1	0
ლიუნგსკილე	1	0	0	1	0:1	0
ტრელებორგი	1	0	0	1	0:1	0
სუნდსვალი	1	0	0	1	0:3	0

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XXIII ტური

სლავია 1:1 სპარტა

სლავია	23	14	7	2	36:15	49
სპარტა	23	14	5	4	44:18	47
ტეპლიცე	23	12	4	7	30:21	40
ბანიკი	23	10	9	4	37:23	39
ბრნო	23	11	6	6	33:28	39
ლიბერეცი	23	9	7	7	27:22	34
პლზენი	23	8	6	9	22:28	30
ზლინი	23	8	5	10	22:27	29
ბუდეიოვიცე	23	7	6	10	25:28	27
ბოლესლავი	23	6	9	8	26:30	27
ჟიჟკოვი	23	7	6	10	29:41	27
იაბლონეცი	23	6	8	9	16:20	26
სიგმა	23	5	11	7	14:19	26
მოსტი	23	4	8	11	26:40	20
კლადნო	23	4	7	12	24:35	19
ბოჰემიანსი	23	3	8	12	16:32	17

დანია

სუპერლიგა. XXII ტური

ვიბორგი 2:3 კოპენჰაგენი

ოლბორგი	22	14	4	4	42:29	46
კოპენჰაგენი	22	12	7	3	32:16	43
მიდტიულანდი	22	11	5	6	31:25	38
ჰორსენსი	22	9	7	6	29:27	34
ოდენსე	21	7	11	3	30:17	32
ნორდსიელანდი	22	8	8	6	32:28	32
ესბიერგი	22	9	4	9	42:35	31
რანდერსი	22	8	6	8	27:19	30
ბრონდბიუ	22	7	6	9	28:30	27
ორჰუსი	22	5	5	12	20:31	20
ვიბორგი	22	4	2	16	19:48	14
ლიუნგბიუ	21	2	5	14	20:47	11

ჩილე

აპერტურა. XIII ტური

უნივ. დე ჩილე 1:2 სან მორნინგი

ფლამინი იუვეში



ფრანგული გაზეთ „ეკიპის“ ინფორმაციის თანახმად, „არსენალის“ ნახევარმცველი მატიე ფლამინი მომავალ ზაფხულს „იუვენტუსში“ გადავა.

24 წლის ფეხბურთელის კონტრაქტი „ემირეიტ სტედიუმის“ ბინადართან სწორედ ზაფხულის პირს კარგავს ძალას და რამდენადაც ცნობილია, მან ახალი ხელშეკრულების გაფორმება არ ისურვა. აღსანიშნავია, რომ ფრანგ ვარსკვლავს „არსენალი“ ხელწამოსაკრავ ახალ ხელშეკრულებას როდი სთავაზობდა. „მეთოფენი“ ხუთი წლით და დიდი ჯამაგირით აპირებდნენ ფლამინის გულის გახარებას, მაგრამ ამაოდ.

და აი, როგორც კი იტალიაში ხმები დაირხა, ნახევარმცველი ლონდონის კლუბთან თანამშრომლობას აღარ აპირებსო, მყისიერად გააქტიურდნენ „მილანი“, „ინტერი“ და „იუვენტუსი“, თუმცა, ფრანგული მასმედიის თქმით, თავად მოთამაშემ დიდი იტალიური სამეულიდან „შავთეთრები“ აირჩია. იმასაც ამბობენ, რომ მხარეებს შორის წინასწარი ხელშეკრულება უკვე არსებობს.

თავის მხრივ, ფლამინის ყიდვით „ბებერი ქალბატონი“ ნახევარდაცვაში იმყარებს პოზიციებს — ტიაგუ მენდეშმა და სერხიო ალმირონმა იმედები ხომ ვერ გაამართლეს.

მიმომხილველთა თქმით, როგორც კი ფლამინი „იუვენტუსის“ წევრი გახდება, ჭორები „ჩელსის“ ვარსკვლავის, ფრენკ ლამპარდის ტურინში გადაბარგების შესახებ მყისვე წარსულს ჩაბარდება.

ცნობისათვის: ფლამინი „არსენალში“ 2004 წელს გადავიდა და მის შემადგენლობაში 100 შეხვედრაზე მეტი ჩაატარა.

პაპუნა კედია



პოლის კარიერის გენერალი

აი, თამამი განცხადება: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერანმა ვარსკვლავმა პოლ სქოულზმა თქვა, რომ მას კრიშტიანუ რონალდუზე დიდი ფეხბურთელის მხარდამხარ არ უთამაშია!

ფაქტია, პორტუგალიელი მიმდინარე სეზონში საუცხოო ფორმაშია და მის თამაშს მალიმალ ადარებენ ახლო თუ შორი წარსულის ხან ერთი და ხან მეორე დიდი ფეხბურთელის თამაშს.

სქოულზის თამამი განცხადების მოსმენის შემდეგ კი ადამიანს უნებურად უჩნდება კითხვა: ვის მხარდამხარ გამოდიოდა „მენიუს“ ნახევარმცველი? ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: იმ მოთამაშეთაგან, ვისაც სქოულზის დროს გაუგორებია ბურთი, ყველაზე მეტად დიდი ბექამი, ერიკ კანტონა, რაიან გიგსი და როი კინი ბრწყინავდნენ.

სქოულზი: „ოლდ ტრეფორდზე“ ვატარებული წლების განმავლობაში რამდენიმე ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელის მხარდამხარ მითამაშია. მაგრამ ალალი კაცი ვარ და პირდაპირ მინდა გითხრათ, რომ ამ შორის კრიშტიანუ უმაღლესია. იმდენი გოლის გატანა, რამდენიც რონალდუმ ამ სეზონში გაიტანა, თან ნახევარმცველის პოზიციიდან, სხვა არაფერია, თუ არა საოცრება. თანაც, საქმე მარტო მის გოლებში ხომ არ არის. ის საგოლე სიტუაციებს თანაგუნდელებსაც უქმნის. რონალდუ მეტოქე გუნდებისთვის დიდი ხიფათია“.

პაპუნა კედია

იკერ კასილიასი: ბარსელონა მეცოდება...

— „სევილიასთან“ გამარჯვების შემდეგ უფრო თავდაჯერებული ხართ?

— დიახ. საკვირაო გამარჯვებისა და „ბეტისი“ — „ბარსას“ მატჩის შედეგის მერე ცხრილში ლიდერობა უფრო განვიმტკიცეთ. „სევილიასთან“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოვიპოვეთ და ყველანი კმაყოფილები ვართ. სწორედ ამ დინამიკურ სტილში უნდა ვითამაშოთ და საწადელსაც მივაღწევთ. გაიხსენეთ, „სევილიასთან“ რამდენი საგოლე ეპიზოდი შეექმნით.

— ...და მეორე ადგილზე უკვე „ვილიარეალია“...

— ეს გუნდი საჩემპიონო ომში ჩაერთო. მიუხედავად იმისა, რომ „ვილიარეალთან“ უპირატესობას ვფლობთ, სიფხიზლე არ უნდა მოვადუნოთ — „ყვითლები“ ძლიერნი არიან. სხვა გუნდებთან შედარებით კალენდარიც რიული გვაქვს, თუმცა არც „ვილიარეალს“ ულხინს, მომავალ ტურში „სევილიასთან“ უწევს შეხვედრა. ჩვენ კი დარჩენილ მატჩებში 24 სავარაუდო ქულიდან 18 მაინც რომ ავიღოთ, ჩემპიონები გავხდებით. სწორედ ამისათვის ვიბრძოლებთ.

— „ყვითლების“ აღმასვლამ „ბარსელონას“ მესამე პოზიციაზე დაქვეითება გამოიწვია...

— „ვილიარეალს“ და „ბარსელონას“ შორის სხვაობა ერთი ქულაა. წესით, კატალონიელები ამ ფაქტს მტკივნეულად უნდა აღიქვამდნენ, თუმცა „ბარსასთვის“ 1 ქულის გაბათილება დილემა არაა.

— როცა „სევილიასთან“ მატჩი დამთავრდა, ისე იზეიმეთ, თითქოს უკვე ჩემპიონები გამხდარიყავით...

— არა, ჩემპიონობა ჯერ ადრეა, მნიშვნელოვანი გამარჯვება ვიზეიმეთ. იქამდე ორი მატჩი ვერ მოვიგეთ და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოპოვებულმა სამმა ქულამ ორმაგი სიხარული მოგვანიჭა. ცხრილში ჩვენს მდევარ გუნდებსაც ქულათა საკმაო რაოდენობით ვუსწრებთ.

— თავს ჩემპიონად ჯერ ვერ გრძნობთ?

— არა, „სევილიასთან“ მოგებით წინ დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ არა გადამწყვეტი. წინ კიდევ ბევრი თამაში დაგვრჩა.

— „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის მაისში გასამართი „ელ კლასიკო“ ლა ლიგას წლევანდელი გამარჯვებულის დადგენაში გადამწყვეტი იქნება?

— არ მგონია. ჩემი აზრით, სამი მატჩი იქნება გადამწყვეტი — „მალიორკასთან“, „მურსიასთან“ და „რასინგთან“... ეს გუნდებიც პრიმერაში თავიანთი მიზნებისთვის იბრძვიან. ერთი სიტყვით, ტიტულისთვის მათთან მოგვიწევს შერკინება.

— „ბეტისმა“ „ბარსელონასთან“ მატჩის ბედი რომ შემოატრიალა, არ გაგიკვირდათ?

— რასაკვირველია, გამიკვირდა, რადგანაც ჩემპიონატის ამ სიმაღლეზე პრიმერას ერთ-ერი ლიდერისგან უფრო მეტ სიფხიზლეს ველოდი. „ბეტისს“ პირველი ტაიმი ჩაუვარდა, მაგრამ მეორეში „ბარსას“ აშკარად აჯობა. ეს მატჩი იმ შეხვედრათა კატეგორიას ეკუთვნის, მოულოდნელი შედეგისგან პირდაღებულს რომ გტოვებს. თუმცა „ვალენსიამაც“ ხომ შეძლო 2:1-ზე „რეალთან“ თამაშის ჯერ გადარჩენა და მერე მოგება.

— „ბარსელონას“ წაგებაში „რუის დე ლოპერაზე“ მთავარი როლი „ბეტისის“ ბრაზილიელმა ედუმ შეასრულა. ეს გასულ სეზონში რაულ ტამუდოს ნამოქმედარს ჰგავს, როცა „ესპანიოლის“ კაპიტანმა თავისი გოლით „ბარსას“ თითქმის მოგებული ჩემპიონობა დაკარგვინა და „რეალს“ ოქროს მედლების მოპოვებაში ძალიან დაეხმარა...



პრიმერას 30-ე ტურის შემდეგ ლიდერ „რეალს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კიდევ ერთი სახიფათო მეტოქე გამოუჩნდა, „ვილიარეალი“. სამეფო თეთრები უახლოეს მდევარს 6 ქულით უსწრებენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ესპანეთის ჩემპიონობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. „რეალის“ მეკარე იკერ კასილიასს მადრიდული „ასი“ გაესაუბრა

— არ ვიცი, ედუ „ტამუდო“ გახდება თუ არა. ესპანიოლელმა თავისი საქმე მაშინ ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე გააკეთა, ედუმ კი ვიქტორ ვალდესს გოლები 8 ტურით ადრე შეუგდო. ისე, დიდი სიამოვნებით გავიგებდი ახალი „ტამუდოს“ შესახებ.

— ამ სეზონში „ბარსას“ ჩემპიონობის მოგება კიდევ შეუძლია?

— ჩვენსა და მათ შორის ინტერვალი 7 ქულაა, რაც სულაც არ გვაძლევს იმის საბაბს, რომ დავმშვიდდეთ. არც „ვილიარეალისა“ თუ „ბარსას“ ჩემპიონობას გამოვრიცხავ.

— მომავალ სეზონში „რეალის“ თავკაცად ბერნდ შუსტერის დარჩენა გაამართლებს?

— დიახ. ცოტა მეტი სტაბილურობა არავის აწყენდა და მით უმეტეს, „რეალს“. შუსტერმა გუნდში სტაბილურობა შეიტანა. თუ პრეზიდენტი კალდერონი. სამომავლოდაც ამ მწვრთნელთან ითანამშრომლებს, „რეალი“ მოგებული დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ კოპა დელ რეის და ჩემპიონთა ლიგის ტურნირებს გამოვეთიშეთ, პრიმერაში საქმე მაინც კარგად მიდის — ლა ლიგას ჩემპიონობაც ძალიან მნიშვნელოვანი ტიტულია.

— რაც ახლა „ბარსელონასთან“ დაკავშირებით ხდება, თქვენში თანაგრძნობას არ აღძრავს?

— რა თქმა უნდა. ხშირ შეჯიბვევაში, ფეხბურთი ძალიან უძადურია და ამ ულმობელ გარემოსგან გაწირული ყველა გუნდი მეცოდება. როცა ბარსელონელებმა ჩემპიონთა ლიგა და ესპანეთის ჩემპიონობა მოიგეს, მაშინ ყველაფერი კარგად იყო, ხოლო წელიწადნახევრის შემდეგ ადრე გამარჯვების მოტანი ფრანკ რაიკარდი და მისი შეგირდები რატომღაც არარაობად შერაცხეს... „ბარსას“ სიტუაციას განგებ ამწვავებენ და ამას ვერაფერით შევურიგდები. ბოლოს და ბოლოს, ჩემს თავზე გამომიცდია მსგავსი რამ. მთელი სამი წლის განმავლობაში დარჩა „რეალი“ ჯილდოების გარეშე.

— ხავის, პუიოლსა და ინიესტას თუ ესაუბრეთ „ბარსელონას“ შესახებ?

— დიახ, ეროვნული გუნდის შეკრებაზე ვილაპარაკეთ. მათთვის რთული პერიოდია და გამხნევებასა და მხარში დგომას საჭიროებენ.

— რაულის შესახებ რას გვეტყვით?

— მისი კარგი თამაში ძალიან გვეხმარება. დღეს რაულს უწინდელზე მეტი გოლები გააქვს და „სანტიაგო ბერნაბეუს“ ინჩადაც ამას თვალნათლივ ხედავს. იგი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია.

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲝ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		5 აპრილი						
18:00	60	უიგანი-ბირმინგემი	2.15	3.40	3.10	1.31	1.26	1.62
15:45	61	არსენალი-ლივერპული...	2.15	3.20	3.30	1.28	1.30	1.62
18:00	62	ასტონ ვილა-ბოლტონი	1.60	3.60	5.50	1.10	1.23	2.17
18:00	63	ბლეკბერნი-ტოტენჰემი	2.40	3.20	2.80	1.37	1.29	1.49
18:00	65	ვულფი-ნანტერელი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
18:00	66	ხიტინელი	5.20	3.30	1.70	2.01	1.28	1.12
18:00	70	ნიუკასლი-რედინგი	1.70	3.50	4.60	1.14	1.24	1.98
		6 აპრილი						
18:00	64	ეფერტონი-დერბი	1.30	4.50	11.00	1.00	1.16	3.19
16:30	68	ჩელსი-მანჩესტერი	7.30	4.10	1.40	2.62	1.17	1.04
		8 აპრილი						
22:45	71	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	2.30	3.20	3.00	1.33	1.30	1.54
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		5 აპრილი						
18:00	75	უოტფორდი-ქოვენთრი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
18:00	79	კოლჩესტერი-ოფსეი	3.10	3.30	2.10	1.59	1.25	1.28
18:00	80	ნორვიჩი-ბარნლი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
18:00	81	ბლეკუოლი-ნარლტონი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	82	ქარ-პრესტონი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
15:00	83	სკანთორპი-ულსი	2.35	3.30	2.70	1.37	1.25	1.48
18:00	84	შეფილდი-ლესტერი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
18:00	85	ხადერსფილდი-ბრისტოლი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
		7 აპრილი						
23:00	74	სტოკი-კრისტალ პალასი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		ინგლისი. I დივიზიონი						
		5 აპრილი						
18:00	89	ნოტინგემი-სელტენჰემი	1.55	3.60	5.40	1.08	1.20	2.16
18:00	90	ხეთანი-ბორნმუთი	1.40	4.00	6.90	1.03	1.16	2.53
18:00	91	სუინდონი-ოლდჰემი	2.35	3.30	2.60	1.37	1.23	1.45
18:00	92	ბრაიტონი-პორტ ვალე	1.45	3.60	6.90	1.03	1.19	2.36
18:00	93	უოლხოლი-ტრანმერი	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48
18:00	94	რიდერხი-პარტლპული	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
18:00	95	კარლაილი-ოსვალი	1.50	3.60	6.10	1.05	1.20	2.26
18:00	96	ქრიუ-ხაფიელი	3.00	3.30	2.15	1.57	1.25	1.30
18:00	97	ჰალიფაქსი-დონკასტერი	2.70	3.30	2.30	1.48	1.24	1.35
18:00	99	ჩალეროლი-ვალინგეტი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
18:00	100	ნორთჰემპტონი-ლუტონი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
		ინგლისი. II დივიზიონი						
		4 აპრილი						
22:45	104	ფერნბერეი-დონ ვენდ რეგი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
22:45	105	ლინკოლნი-დონსი	4.20	3.40	1.75	1.87	1.23	1.15
		5 აპრილი						
18:00	106	როტერჰემი-ბრენტფორდი	2.35	3.30	2.60	1.37	1.23	1.45
18:00	107	სტოკპორტი-დარლინგტონი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
18:00	108	რეჩხემი-მაკლესფილდი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
18:00	109	უეიმსი-ბაფერბრო	2.50	3.30	2.45	1.42	1.23	1.40
18:00	110	ბრედფორდი-მორეკამბი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
18:00	111	ბერი-ნიტსი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
18:00	112	ნეტფორდი-შრიუსბერი	1.60	3.60	4.90	1.10	1.20	2.07
18:00	113	პერეფორდი-ნეტტერი	1.45	3.70	6.40	1.04	1.18	2.34
18:00	114	მანსფილდი-ბარნეტი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	115	რიდინგი-გრიმსბი	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		5 აპრილი						
18:00	135	ჰიბერნიანი-სტენჰაუსი	1.55	3.40	6.00	1.06	1.23	2.17
18:00	136	კილმარნოკი-პართი	3.00	3.30	2.15	1.57	1.25	1.30
		6 აპრილი						
17:00	139	დენდი იუნაიტედი-რეინჯერსი	6.50	3.60	1.45	2.31	1.18	1.03
		7 აპრილი						
22:45	137	აბერდინი-ფალკირკი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		4 აპრილი						
22:30	164	დუისბურგი-კოტბუსი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
		5 აპრილი						
17:30	158	აინტრახტი-ნიურნბერგი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
17:30	160	შტუტგარტი-ჰამბურგი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
17:30	163	ვოლფსბურგი-ჰანოვერი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
17:30	165	არმინია-კარლსრუე	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
17:30	166	შალკე-ჰერთა	1.30	4.30	10.00	1.00	1.15	3.00
17:30	167	ჰერტა-ვერდერი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
		6 აპრილი						
19:00	156	დორტმუნდი-ლეკერკუზენი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
19:00	161	ბაიერნი-ბოხუმი	1.20	5.50	11.00	1.00	1.08	3.66
		გერმანია. რეგიონალლიგა (ხმ.)						
		2 აპრილი						
21:00	17	ბურგჰაუზენი-რეგენსბურგი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
		შვეიცარია. ხუპერლიგა						
		2 აპრილი						
20:45	209	გრასჰოპერი-ბაზელი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
		შვეიცარია. წელენფლიგა						
		2 აპრილი						
20:45	18	ლიზანა-ლოკარნო	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
20:45	19	ალტენი-ხერენგენ	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
		იტალია. სერია A						
		5 აპრილი						
22:30	224	მილანი-კალიარი	1.30	4.40	10.00	1.00	1.15	3.05
20:00	227	რომა-ვენეცია	1.50	3.40	7.50	1.04	1.25	2.33
		6 აპრილი						
17:00	221	ფიორენტინა-რეჯინა	1.40	3.60	8.50	1.00	1.20	2.52
17:00	223	ხიუნა-უდინეზე	2.70	2.80	2.80	1.37	1.37	1.39
17:00	226	ტორინო-ეფმოლი	1.75	3.00	5.30	1.10	1.31	1.91
17:00	229	ატალანტა-სენეზე	4.40	3.00	1.85	1.78	1.30	1.14
22:30	230	პალერმო-იუვენტუსი	3.40	3.00	2.15	1.59	1.31	1.25
17:00	232	პარმა-ლაციო	2.20	2.80	3.50	1.23	1.35	1.55
17:00	233	სამპდორია-ლივორნო	1.55	3.10	7.50	1.03	1.28	2.19
17:00	234	კიტანია-ნაპოლი	2.30	2.80	3.35	1.26	1.36	1.52
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		5 აპრილი						
22:00	270	ოხასუნა-ვალენსია	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
23:45	274	მალიორკა-რეალი	3.10	3.20	2.20	1.57	1.28	1.30
		6 აპრილი						
21:00	264	სევილია-ჟოლიარეალი	2.05	3.20	3.40	1.24	1.27	1.64
19:00	265	ატლეტიკო-ალბერია	1.60	3.40	6.00	1.08	1.26	2.17
19:00	266	ლევანტე-ჟილიადოლიდი	2.75	3.10	2.45	1.45	1.29	1.36
19:00	267	სარაგოსა-ბეტისი	1.90	3.20	3.90	1.19	1.27	1.75
23:00	268	ბარსელონა-ხეტაფე	1.40	4.10	8.00	1.04	1.19	2.71
19:00	271	ბილბაო-ესპანიოლი	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
19:00	272	რაციონგი-დეპორტივო	1.95	3.20	3.80	1.21	1.28	1.73
19:00	273	მურსია-ვალენსია	2.80	3.10	2.45	1.47	1.30	1.36
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		2 აპრილი						
22:00	24	პსჟ-სტრასბური	1.70	3.20	5.20	1.11	1.28	1.98
		5 აპრილი						
19:10	288	რენი-ბორდო	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
22:00	289	სტ-ეტიენი-ლე მანი	2.00	3.00	3.70	1.20	1.29	1.65
22:00	290	ნიცა-ლილი	2.35	2.80	3.10	1.27	1.33	1.47
22:00	291	ტულუზი-ლიონელი	2.20	2.80	3.40	1.23	1.33	1.53
22:00	293	ლანსი-მეცი	1.60	3.20	5.90	1.06	1.25	2.07
22:00	294	სტრასბური-მონაკო	2.35	2.85	3.10	1.28	1.33	1.48
22:00	297	ოსერი-ხოშო	2.35	2.70	3.20	1.25	1.35	1.46
22:00	298	კიენი-ვალენსიენი	2.15	2.90	3.40	1.23	1.31	1.56
		6 აპრილი						
22:45	292	მარსელი-ლიონი	2.90	2.85	2.45	1.43	1.32	1.31
20:00	295	ნანსი-პუ	1.95	3.00	3.85	1.18	1.29	1.68
		ბელგია. II დივიზიონი						
		2 აპრილი						
22:00	323	ოსტენდე-ტინენი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
22:00	324	პეგერლე-დაინეკ	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
22:00	325	ნამური-კორტრაიკი	3.75	3.30	1.85	1.75	1.23	1.18
22:00	326	გენელი-სტ-ჟილი	2.80	3.30	2.20	1.51	1.23	1.32
22:00	327	ვორტონი-ეუპენი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
22:00	328	ვაასლანდი-ბევერენი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
22:00	329	ლიერსი-ტუბეკე	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
22:00	330	ოლიმპია-ლოიკლი	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		4 აპრილი						
22:30	341	როდა-ნაიმეგენი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
		5 აპრილი						
21:30	342	ტილბურგი-პერენვენი	3.10	3.40	2.05	1.62	1.23	1.27
22:00	343	ტვენტე-ექსელსიორი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
22:00	346	ვიტესი-ხპარტა	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
		6 აპრილი						
•16:30	344	პსვ-პერეიკლესი	1.20	5.70	11.00	1.00	1.08	3.75
16:30	347	ფეიენოორდი-უტრეხტი	1.55	3.70	5.50	1.09	1.20	2.21
16:30	348	აიაქსი-გრაფსხაპი	1.20	5.70	11.00	1.00	1.08	3.75
14:30	350	ვენლო-ადმირაარი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
16:30	351	გრონინგენი-ბრედა	2.20	3.30	3.00	1.32	1.26	1.57
		ხაბერძნეთი						
		6 აპრილი						
20:00	381	აეკ-ურგოტელონი	1.10	6.50	14.00	1.00	1.01	4.43
20:00	382	ოფი-პანათინაიკოსი	9.00	4.50	1.25	3.00	1.09	1.00
20:00	383	ოლიმპიაკოსი-ლარისა	1.20	5.00	10.00	1.00	1.07	3.33
20:00	384	პანიონიოსი-ვერიოა	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00
		დანია. ხუპერლიგა						
		2 აპრილი						
20:30	16	დინგბიუ-ოდენსე	6.00	3.90	1.45	2.36	1.16	1.05
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		5 აპრილი						
18:00	459	სტარტი-ნიბერგსუნდი	1.30	4.70	7.10	1.01	1.09	2.82
		6 აპრილი						
19:00	460	კონგსვინგერი-ალტა	1.55	4.00	4.50	1.11	1.15	2.11
18:00	461	ლოვ ჰამი-ჰაფნეფიორდი	2.15	3.50	2.70	1.33	1.19	1.52
18:00	462	ბოდეგლიმტი-ნოტოდენი	1.65	3.70	4.10	1.14	1.17	1.94
18:00	463	ხანდნესი-მოსი	3.40	3.70	1.80	1.77	1.17	1.21
18:00	464	ჰოდი-ხპარტა ხ	2.40	3.50	2.40	1.42	1.20	1.42
18:00	465	ოდ გრენლანდი-ხანდეფორდი	1.70	3.50	4.10	1.14	1.20	1.88
20:00	466	ბრინი-ხოგესუნდალი	1.65	3.70	4.10	1.14	1.17	1.94
		იაპონია						
		2 აპრილი						
13:00	489	კიოტო-კაშივა	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
13:00	490	ხაპორი-კავასაკი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
13:00	491	ოიტა-გამბა	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23
13:00	492	ომია-ნაგოია	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
13:00	493	იოკოჰამა-კობე	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
13:00	494	ვერდი-ივატა	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
13:00	495	იოკოჰამა ფმ-ტოკიო	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
13:00	496	ნიიგატა-კაშიმა	3.35	3.20	1.95	1.63	1.23	1.21
13:00	497	შიმიცუ-ურავა	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
		ჩემპიონთა ლიგა						
		2 აპრილი						
22:45	3	არსენალი-ლივერპული	2.15	3.10	3.60	1.26	1.34	1.66
22:45	4	ფენერბაჩე-ჩელსი	3.90	3.10	2.05	1.72	1.34	1.23
		უეფას თასი						
		3 აპრილი						
22:45	5	რეინჯერსი-ხპორტინგი	2.15	3.10	3.25	1.26	1.29	1.58
20:30	6	ლევერკუზენი-ზენიტი	1.65	3.40	5.10	1.11	1.24	2.03
22:45	7	ბაიერნი-ჩეტაფე	1.45	3.60	7.50	1.03	1.21	2.43
22:45	9	ფეიენორდი-ჰსვ	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
		ინგლისი. თასი						
		5 აპრილი						
15:15	14	ვესტ ბრომიჩი-პორტსმუთი	4.30	3.30	1.85	1.86	1.29	1.18
		6 აპრილი						
19:00	15	ბარნსლი-კარდიფი	3.10	3.20	2.20	1.57	1.28	1.30
		ხაბერძნეთი. თასი						
		2 აპრილი						
17:45	841	ტრანივოულოსი-ოლიმპიაკოსი	8.00	3.80	1.35	2.57	1.15	1.00
20:00	842	არისი-აეროპიტოსი	1.50	3.40	6.10	1.04	1.20	2.18
		ჰოლანდია. თასი						
		2 აპრილი						
21:00	22	ზაგლებე ლ-აელონია	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
20:15	23	ლეგია-ლეონა	1.30	4.40	8.20	1.00	1.12	2.86
		ლიბერტადორეხის თასი						
		2 აპრილი						
23:45	846	ლანუსი-ესტუდიანტესი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:45	847	ხან პაულო-ხპორტივო ლ	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
23:45	848	ფლუმინენსე-ლიბერტადი	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
23:15	851	ამერიკა-რიოკერ პლეიტი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
		3 აპრილი						
23:45	849	კრუზეიროი-ხან ლორენცო	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
23:45	850	ატლეტიკო ნაციონალი	1.65	3.40	4.65	1.11	1.21	1.96
23:45	852	მონტევიდეო-კორინთელ ბალონესი	1.30	4.40	8.50	1.00	1.12	2.89

შესაძლო ცვლილებები დაიაზუსტეთ ადგილზე

ირაკლი პერტაიას ფოტო

უნივერსიტეტი და აკადემია ნოდარ შენგელიას ჭაბუკობა არ უნდა

ნოდარ შენგელია ის მოთამაშეა, რომელმაც ნიკა მეტრეველთან ერთად საქართველოს კადეტთა ნაკრები 2 წლის წინ B დივიზიონიდან ელიტაში აღაზევა და ზოგადად ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდად ითვლება ჩვენს ქვეყანაში. ნოდარი 18 წლისაა და ამ ზაფხულს ჭაბუკთა ნაკრებშიც უწევს თამაში, თუმც თავად შენგელიას ახალგაზრდულისკენ მიუწევს გული, ამბობს, რაც თავი მახსოვს, B ლიგაში ვთამაშობდი და ყველაფერი გავაკეთე, კადეტთა ნაკრები ელიტაში რომ გადასულიყო, ახლა A დივიზიონშიც მინდა ძალების მოსინჯვაო. ამიტომაცაა მისი სამიზნე 20-წლამდელთა ნაკრები, რომელიც ამ ზაფხულის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. შენგელია ახლა თბილისშია. ნოდარმა ერთი თვის წინ ფეხი მოიტეხა და ლიტვის მეორე ლიგაში მყოფ მის „აკადემიას“ მიმდინარე სეზონში ვეღარ დაეხმარება

— ფეხი ლიტვაში, დედაქალაქის პირველობის მატჩში მოვიტეხე და რაკი „აკადემიას“ ვეღარ დავეხმარებოდი, სამშობლოში დავბრუნდი — გვითხრა ნოდარ შენგელიამ.

— რამდენად სერიოზული მოტეხილობაა და როდის ჩადგები მწყობრში?

— თავიდან არ ჩანდა სერიოზული, მაგრამ... ტრავმა მესამე მეოთხედში მივიღე და მიუხედავად ძლიერი ტკივილისა, თამაში ჩავამთავრე. მომდევნო მატჩშიც გავედი მოედანზე, მაგრამ სამი წუთის შემდეგ ისეთი ტკივილი ვიგრძენი, რომ პირდაპირ ექიმთან წამიყვანეს. აღმოჩნდა, რომ ძვალი მოტეხილი მქონდა და ტერფი თაბაშირში ჩამისვეს. წესით, ამ დღეებში უნდა მომეხსნა თაბაშირი, მაგრამ ექიმებმა ცოტა ხანს მოცდა მირჩიეს. მალე ალბათ მსუბუქ ვარჯიშს შევუდგები და ზაფხულისთვის მწყობრში ვიქნები.

— დედაქალაქის პირველობა ახსენე და რა ტურნირია ეს?

— „აკადემია“ ლიტვის მეორე ლიგაში თამაშობს, მაგრამ მისი ახალგაზრდული გუნდი არაერთ ტურნირში გამოდის — დედაქალაქის პირველობაზე და ჭაბუკთა ჩემპიონატში. პირველიდან ჩვენი გუნდი უკვე გამოვარდა, ხოლო ჭაბუკთა ლიგაში პლეი ოფში ვართ და თამაშები მალე განახლდება.

— შენ უფრო ახალგაზრდულში გიწევდა თამაში, არადა, ძირითად გუნდში რამდენჯერმე საკმაოდ შედეგიანი იყავი...

— მართალია, ასე იყო. ძირითად გუნდში მაშინ გავყავარ მწვრთნელს მოედანზე, როცა სხვას არ მისდის თამაში. თუმც ამაზე არ ვდარდობ, რადგან ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და მჯერა, გამოცდილება რომ მომემატება, უფრო დიდ ნდობას გამომიცხადებენ.

— კონტრაქტით კიდევ რამდენ ხანს უნდა იყო „აკადემიაში“?

— უკვე მეოთხე წელია, იქ ვარ, თუმცა ყოველი სეზონის შემდეგ შემეძლო კონტრაქტის გაწყვეტა. ახლაც შემიძლია და თუ ვილნიუსის უნივერსიტეტში არ ჩავაბარე, გუნდს გამოვიცვლი. ისე კი, ლიტველებს სურთ, რომ მომავალ სეზონშიც დავრჩე მათთან.

— ზაფხულში ჭაბუკთა ნაკრებში სათამაშოდ მზად იქნები?

— მზად კი ვიქნები, მაგრამ არ ვაპირებ ჭაბუკთა ნაკრებში თამაშს. ორი სეზონი გავატარე B დივიზიონში და ახლა ელიტაშიც მინდა ძალების მოსინჯვა. 18 წლის კი ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, 20-წლამდელებშიც შემიძლია ღირსეულად თამაში. ვნახოთ, რა გამოვა.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

პლეი ოფის სურნელი

31 მარტი

მემფისი 99:116 ატლანტა

მემფისი: გაი (29), ლორი (17), ნავარო (17)
ატლანტა: ბიბი (17), ჯონსონი (19), უილიამსი (12), სმიტი (26), ჰორფორდი (19); ჩილდრესი (14), ფაჩულია (16 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა), ლოუ (3), ჯონსი (2), რიჩარდსონი, ვესტი

ინდიანა 105:85 მაიამი

ინდიანა: გრეინჯერი (23), დანლივი (18)
მაიამი: კუკი (16), ქუინი (15), პაუელი (15)

შარლოტი 100:104 ტორონტო

შარლოტი: რიჩარდსონი (26), ჯოლესი (20)
ტორონტო: ბოში (32), პარკერი (20)

იუტა 129:87 ვაშინგტონი

იუტა: მაილზი (29), ბუზერი (19), ოქური (16), კორვერი (15)
ვაშინგტონი: ჯემისონი (22), იანგი (18)

ფინიქსი 132:117 დენვერი

ფინიქსი: სტუდემაიერი (41 ქულა, 14 მოხსნა), ნეში (36), ონილი (20 ქულა, 12 მოხსნა), ბელი (15 ქულა, 10 მოხსნა)
დენვერი: სმიტი (23), აივერსონი (21), მარტინი (19), ენტონი (18 ქულა, 11 მოხსნა), კემბი (16)

კლიპერსი 86:93 დალასი

კლიპერსი: ტორნტონი (26), მაგეტი (23)
დალასი: კიდი (27), ჰოვარდი (25), ტერი (20)

ბოლო ცხრა წელიწადში პირველი პლეი ოფისკენ გეზაღებულმა ატლანტელმა „ქორებმა“ მემფისში იქაური „დათვები“ დაამარცხეს და ზედიზედ მეოთხე გამარჯვების მოპოვებით მნიშვნელოვნად გაიმყარეს აღმოსავლეთში მერვე პოზიცია. მთავარი კონკურენტი „ნიუ ჯერსი“ შესამჩნევად ჩამორჩა „ატლანტას“ და თუ ამ უკანასკნელმა დარჩენილ 9 თამაშში მოწინააღმდეგეები ზედმეტი გულუხვობით არ დააჯილდოვა, მაშინ შეუძლია, პლეი ოფისთვისაც განეწყოს, პირველად 1999 წლის შემდეგ.

„ატლანტამ“ თავიდანვე მძლავრად შეუტია მიზანდაკარგულ და გაპარტახებულ „მემფისს“. პირველ მეოთხედში 40:19 გაასწორა მიწასთან და მესამეში ერთი ხანობა ლამის 40 ქულითაც დაწინაურდა — 101:63. მაიკ ჯუდსონმაც იმის ანგარიშში, რომ მომავალი ჯახებისთვის დავასვენებო, ლიდერები ერთიანად დაასკამა და უაზრობად ქცეული მატჩის ჩამთავრება სათადარიგოებს მიანდო, მაგრამ ამით მხოლოდ გააფუჭეს საქმე. მემფისელებმა გამეოთხედებულ, მაგრამ მაინც საკუთარ დარბაზში წაგება იუარეს და დაარხეინებულ მომხვდურების წინააღმდეგობა შეჰბედეს. შედეგად ბოლო მეოთხედში სხვაობა [illegible] ამდე შემცირდა და ჯუდსონმაც ლამის გასახდელიდან მოაბრუნა ჯონსონი, ბიბი და სმიტი.

გიუმაჯი მარტის ბოლო დღეს მიიგო „ინდიანამაც“, რომელსაც „ნიუ ჯერსის“ მსგავსად, ჯერ კიდევ შერჩენია პლეი ოფში მოხვედრის შანსი.

უდანაბოში მხოხავი რიგ ადგილის მიაგნებს, ასე მიაგნო გაშარჯვებას „დალასმა“. დირკ ნოვიცკის გარეშე დარჩენილმა ტეხასელებმა უხეირო „კლიპერსი“ მიდიოდეს, „დენვერის“ მარცხით ისარგებლეს და დასავლეთში მეშვიდე საფეხურზე გამაგრდნენ. „დენვერი“ კი მეცხრემდე დაქვეითდა.

კოტე ყორშია

აღმოსავლეთი					დასავლეთი			
ბოსტონი	58	15	79,5	NBA	ნიუ ორლეანი	50	22	69,4
დეტროიტი	52	21	71,2	NBA	სან ანტონიო	51	23	68,9
ორლანდო	47	27	63,5	NBA	ლოს ანჯელესი	50	24	67,6
კლივლენდი	41	33	55,4	NBA	იუტა	49	26	65,3
ვაშინგტონი	38	36	51,4	NBA	ფინიქსი	50	24	67,6
ტორონტო	38	36	51,4	NBA	ჰიუსტონი	49	24	67,1
ფილადელფია	37	37	50,0	NBA	დალასი	46	28	62,2
ატლანტა	34	40	45,9	NBA	გოლდენ სტეიტი	45	28	61,6
ნიუ ჯერსი	31	43	41,9	NBA	დენვერი	45	29	60,8
ინდიანა	31	43	41,9	NBA	პორტლენდი	38	36	51,4
ჩიკაგო	29	44	39,7	NBA	საკრამენტო	33	40	45,2
შარლოტი	28	46	37,8	NBA	კლიპერსი	22	52	29,7
მილუოკი	24	48	33,3	NBA	მინესოტა	19	53	26,4
ნიუ იორკი	20	53	27,4	NBA	მემფისი	19	55	25,7
მაიამი	13	61	17,6	NBA	სიეტლი	17	57	23,0

პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი სამი დივიზიონის სამ ლიდერს (აღნიშნულია დახრილი შრიფტით); მთავრული შრიფტით გამორჩეულები გაუდიდნენ პლეი ოფში

კვირის მოთამაშეები

აღმოსავლეთი

ჯეისონ რიჩარდსონი (შარლოტი)



დასავლეთი

კარმელო ენტონი (დენვერი)

ახლა, როცა რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი კვირაც აღარ დარჩა, ნბა-ში პლეი ოფში გამსვლელთა ომი მძვინვარებს და რა გასაკვირია, რომ კვირის რჩეულებადაც უკიდურესად მობილიზებული და დაძაგრული გუნდების მოთამაშეები დასახელდნენ.

დასავლეთში ეს წოდება ერგო „დენვერ ნაგიტსის“ 203-სანტიმეტრიან მსუბუქ ფორვარდ კარმელო ენტონის, რომლის გუნდიც ორი კვირი სწინ მყარი მეცხრე იყო კონფერენციაში, მაგრამ ენტონის და სხვა მისიანების მეცადინეობით, ზედიზედ ხუთი თამაში მოიგო და „დალასს“ ან „გოლდენ სტეიტს“ ემუქრება რჩეული რვეულიდან ამოგდებით. ვახულ კვირას „დენვერმა“ სამი თამაში მოიგო, ენტონმა კი საშუალოდ 26,7 ქულა, 8,7 მოხსნა და [illegible] აკეთა ამ მატჩებში.

აღმოსავლეთის რჩეულ ჯეისონ რიჩარდსონის „შარლოტს“ პლეი ოფში მოხვედრის ისეთი მკაფიო შანსი არ აქვს, როგორც „დენვერს“, მაგრამ ეს გუნდი მაინც იბრძვის და გასულ კვირას ოთხი მეტოქიდან სამი დაამარცხა, რიჩარდსონის ანგარიშზე კი საშუალოდ 26,8 ქულა და 6,8 მოხსნაა.

კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია): კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ჯეისონ რიჩარდსონი (შარლოტი), კარმელო ენტონი (დენვერი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)

თამაში საცოლესთან

კაცები

კიბისკეინი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 3 770 000 $

მესამე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) 6:4 3:0 (უარი); **ხოსე აპასუსო** (არგენტინა) — **დუდი სელა** (ისრაელი) 6:4 6:4; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — **ჟო-ვილფრედ ცონგა** (12, საფრანგეთი) 6:3 6:3; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — **ივო მინარი** (ჩეხეთი) 7:6 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — **სიმონე ბოლელი** (იტალია) 6:7 7:5 6:1; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — **ხუან მონაკო** (18, არგენტინა) 7:6 4:6 6:1; **მიხაილ იუჟნი** (11, რუსეთი) — **ნიკოლას ალმაგრო** (24, ესპანეთი) 7:6 3:6 7:6; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) 6:4 6:4

ქალები

კიბისკეინი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 3 770 000 $

მეოთხე წრე

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — **ელენა ვესნინა** (რუსეთი) 6:2 6:2; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — **კაია კანეპი** (ესტონეთი) 6:3 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — **შაჰარ პირი** (16, ისრაელი) 7:6 6:3; **ვინუს უილიამსი** (6, აშშ) — **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) 6:3 6:3; **ელენა დემენტიევა** (10, რუსეთი) — **საბინ კატარინა ლისიცკი** (გერმანია) 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (4, სერბეთი) — **ჟი ჟენგი** (ჩინეთი) 6:4 7:5; **ვერა ზვონარიოვა** (19, რუსეთი) — **აი სუგიამა** (იაპონია) 6:2 6:7 6:0; **დინარა საფინა** (13, რუსეთი) — **ლინდსი დევენპორტი** (32, აშშ) 6:3 6:4

ეტყობა, კიბისკეინში მოულოდნელობების ლიმიტი ამოიწურა. მეორე და მესამე წრეში იმდენი სენსაცია მოხდა, რომ ტურნირმა დროებით შესვენება აიღო — გუშინ ყველა იმ მეჩოგნემ იხეირა, ვისაც ეს რანგით ეკუთვნოდა.

ჩვენ კი ქალთა ბადეში მომხდარი ამბებით დავიწყებთ, რადგანაც აქ უკვე მეოთხე წრის შესანიშნავი ჩატარდა და ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა.

ადვილად იხეირეს ტურნირის მოგების უმთავრესმა პრეტენდენტებმა — ჟუსტინ ენინმა და შავდა უილიამსებმა. ჭინკა ბელგიელმა ელენა ვესნინას ხეირიანად ჩოგნის ქნევის საშუალებაც არ მისცა და მხოლოდ ოთხი გეიმი ააღებინა. მეოთხედფინალში ბენილუქსელს გაცილებით რთული ამოცანა ექნება გადასაჭრელი, რადგანაც აქ სერენა უილიამსი ელოდება. კიბისკეინის მოქმედმა ჩემპიონმა გუშინ კაია კანეპი გადაჯეგა, რითაც პირწმინდად გააქარწყლა მოსაზრება, თითქოს სათანადო ფორმაში არ ყოფილიყოს.

სერენა-ენინის ჯახი შარშანდელი ფინალის გამეორება იქნება და ამიტომაც ბევრი ნაღდ ომს მოელის. ერთი წლის წინ ჩოგბურთელებმა მართლაც გვარიანი სანახაობა დადგეს და აკი ბევრს დღესაც მიაჩნია, რომ



ის შეხვედრა გასულის სეზონის ერთ-ერთი საუკეთესი მატჩი იყო. მაშინ უმცროსმა უილიამსმა თითქმის წაგებული შეხვედრა შემოუტრიალა ბელგიელს და ორი მატჩ-პოინტი ამოუქაჩა. ასე რომ, დამდეგი ჯახის წინ ჟუსტინი მოტივაციის ნაკლებობას არ უჩივის.

ჩვენში დარჩეს და სერენაც მაგრად იქნება დაგეშილი გამარჯვებაზე, რადგანაც იმ კიბისკეინური მარცხის შემდეგ ენინმა სამჯერ წააქცია უმცროსი შავდა და სამივჯერვე სლემტურნირების მეოთხედფინალებში. ჰოდა, ახლა თვითონ განსაჯეთ, ვინ უფრო რევანშისტული განწყობით გავა კორტზე.

დასავით ადვილად იხეირა ვინუსმაც, რომელმაც თინეიჯერ კაროლინ ვოზნიაკის მცირე მასტერ-კლასი ჩაუტარა და საათნახვერში მოუთავა საქმე. ვოზნიაკი მართლაც ნიჭიერი მეჩოგნეა და ქალთა ჩოგბურთის მომავლადაც ესახება ბევრს, მაგრამ დანიელი ჯერ აშკარად არ არის მზად ვინუსის მაგვარ მონსტერებთან ტოლ-სწორად საომრად.

ისე, მეოთხედფინალში არც ვინუსს ელის ტკბილი ცხოვრება, რადგანაც სვეტლანა კუზნეცოვასთან მოუწევს დატაკება. ამერიკელს მცირედი უპირატესობა შეიძლება მხოლოდ ფიზიკურ მზადყოფნაში ჰქონდეს — უილიამსს ხომ მეოთხედფინალმდე მოსასვლელად ზედმეტი ძალები არ დაუხარჯავს მაშინ, როცა კუზნეცოვამ წინა წრეებში ბლომად ოფლი ღვარა. სვეტლანამ გუშინაც მაგრად იწვალა შაჰარ პირთან შეხვედრაში და ებრაელი მხოლოდ პირველი სეტის ტაიბრეიკზე გატეხა, რის შემდეგაც უკვე უპრობლემოდ იხეირა.

საუკეთესო რვას შორის კუზნეცოვას გარდა ადგილი კიდევ ორი რუსისთვის გამოინახა. ელენა დემენტიევამ ადვილად გადაურბინა საბინე ლისიცკის, დინარა საფინამ კი მოულოდნელად ლინდსი დევენპორტი დაჩაგრა. ანა ივანოვიჩის გასილაქების შემდეგ ამერიკელს საფინა თითქოს ერთ ლუკმად არ უნდა ყოფნოდა, მაგრამ რუსმა ის გააკეთა, რასაც სერბმა ვერაფრით ვერ მოაბა თავი — დევენპორტს მაღალი ტემპი შესთავაზა და ვეტერანი იანკიც უძლური აღმოჩნდა კორტზე ვერცხლისწყალივით მოძრავ მეტოქესთან.

კაცთა შორის დატრიალებული ამბებიდან კი ბობოლებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ჯერჯერობით არაფერს უჩივის როჯერ ფედერერი, რომელშაც ორი წრე ზედმეტი პრობლემების გარეშე გადალახა. თუმც აქედან შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია, რადგანაც შვეიცარიელი თითქოს ასევე დამაჯერებლად თამაშობდა ინდიან უელსშიც, მაგრამ შემდეგ ადგა და მარდი ფიშთან პირწმინდად დამარცხდა.

გუშინ „მხიარული როჯერი“ თავის გემოზე თამაშობდა, ნარნარად უტევდა და იმდენად ზუსტად ურტყამდა, რომ რობინ სოდერლინგს თავი მოაბეზრა და შვედმაც ტრავმა მოიმიზეზა, ოღონდ კი კორტიდან დროზე ადრე გაქცეულიყო.

„მთავარია, ერთხელ წაგივიდეს თამაში და მერე ნელ-ნელა ყველაფერი აეწყობა. იმედი მაქვს, მეც თანდათანობით მოვუმატებ და ყველაფერი ძველებურ რელსებზე დადგება. თანაც აქ მშვენიერი ბადე შემხვდა — კარგა ხანია, ასე არ გამმართლებია“ — განაცხადა ნამატჩევს ფედერერმა.

ადვილად იხეირა ენდი როდიკმაც, რომელმაც კვალიფიკაციაგამოვლილი ჩეხი ივო მინარი არ დაინდო. ენდი-ბოის ასე გახელების მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მას ახალდანიშნული საცოლის, მოდელ ბრუკლინ დეკერის წინაშე პირველად უწევდა თამაში.

კახა ლომაშვილი

ცერცვაძემ ანთალია გაიღო

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალაბამას შტატის ქალაქ პელემის თიხნარძე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ქართველებმა ვერ გააღწიეს.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი ჩვენებური, ანა ტატიშვილი და სალომე დევიძე თამაშობდა. ტატიშვილმა პირველივე შეხვედრაში წააგო, ხოლო დევიძემ ორი წრე კი გაიარა და ძირითად ტურნირს ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში უიმედოდ, 2:6 2:6 წააგო 15 წლის ურეიტინგო ბელარუს ალინა ორლიკთან.

სამაგიეროდ, თურქული ანთალიის თიხნარზე თეონა ცერცვაძემ ივარგა, რომელმაც 10-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან გააღწია. გადამწყვეტ, მესამე შეხვედრაში თეონამ 6:3 6:4 აჯობა სლოვაკ კატარინა მარასკოკას და ახლა, ძირითადი ტურნირის პირველ წრეში რუს ავგუსტა ციბიშევას შეხვდება.

ანთალიური ტურნირის ძირითად ბადეშია სოფო ქვაცაბაიაც, ვინც პირველ წრეში სლოვაკ პატრიცია ვერეშოვას დაუპირისპირდება.

გუშინ დელეგაციაშვილის ფოტო

ტორნტონის კვირა

2007-08 წლების რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა კვირის საუკეთესო მოთამაშეთა სამეული მთლიანად მტაცებლური გამოდგა. გასული შვიდდღეულის სამი ვარკსლავიდან ერთი „ზვიგენთა“ ყოჩია, მეორე „მტაცებელთა“ კარებს იცავს, მესამე კი „დათვთა“ შორის გამოირჩა.

პირველი ვარსკვლავობა „სანხოსელ ზვიგენთა“ ცენტრფორვარდსა და ლიდერ ჯო ტორნტონს ერგო, რომელმაც გასულ კვირას თითქოს ხელობა შეიცვალა — ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებლად ცნობილმა კანადელმა ამჯერად სნაიპერული თვისებები გამოავლინა და წინა შვიდდღეულში 7 შაიბა შეაგდო. ამას ტორნტონმა ერთი შედეგიანი გადაცემაც დაურთო. მთლიანად სეზონში კი „დიდი ჯოს“ ანგარიშზე 93 ქულაა 28+65) — ამ მაჩვენებლით ის თავის გუნდში საუკეთესოა, ლიგის ბომარდირთა დავაში კი მეხუთეა. 65 შედეგიანი გადაცემით ტორნტონი ისევ რჩება ლიგის უპირველეს გამთამაშებლად და მცირედით, მაგრამ მაინც უსწრებს ბოსტონელ მარკ სავარსა და დეტროიტელ პაველ დაციუკს.

დიდწილად სწორედ ტორნტონის დამსახურებით შეძლო „სან ხოსემ“ წყნაროკეანური დივიზიონის მესამედ მოგება, რაც იმის გარანტიაა, რომ პლეი ოფის პირველ რაუნდებში გუნდს საკუთარი მიდნის უპირატესობა ექნება.

მეორე ვარსკვლავად „ნეშვილის“ ახალგაზრდა კარის დარაჯი დეს ელისი დასახელდა, რომელმაც გასულ კვირას სამიდან ორი შეხვედრაში იმარჯვა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ორივე მოგებულ მატჩში ელისმა შთაბეჭდილი მოიტოვა. მეტიც, „მტაცებელთა“ კიპერს არც წაგებული შეხვედრის ძირითად დროში გაუშვია ბოლი და თავისი მშრალი სერია მხოლოდ ოვერტაიმში შეწყვიტა. მოკლედ, ელისი 233 წუთისა და 39 წამის განმავლობაში გოლს არ უშვებდა, რაც „ნეშვილის“ ხანმოკლე ისტორიაში საუკეთესო შედეგია.

კვირის საუკეთესო მოთამაშეთა სამეულში ასევე მოხვდა ბოსტონელ „დათვთა“ ახალბედა ფორვარდი დევიდ კრეიჩი. ახალგაზრდა ჩეხმა სეზონის ბოლოს აშკარად მოუმატა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა. გასულ შვიდდღეულში მან 8 ქულა (3+5) მოითვალა და „დათვების“ მიერ მოგებულ სამ მატჩში არცთუ მცირე წვლილი შეიტანა. სეზონში ჩატარებულ 53 შეხვედრაში კი ჩეხმა 26 ქულას (6+20) მოუყარა თავი.

კახა ლომაშვილი

კაპიტნის გარეშე

„მონრეალს“ ასეთი კარგი სეზონი 1993 წლის შემდეგ არ ჰქონია — გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერია და ფლეი ოფშიც შორს გასვლას გეგმავს, მაგრამ შანსია ყველაფერი აირიოს. გუშინ გაცხადდა, რომ გუნდის კაპიტან საკუ კოივუს მარცხენა ფეხში ერთ-ერთი ძვალი ჰქონია მოტეხილი და ვინ იცის, „კანადელები“ ლიდერის გარეშე დარჩნენ.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის შეძლებს თუ არა კოივუ ფლეი ოფისთვის გამოჯანმრთელებას, მაგრამ რეგულარული სეზონის დარჩენილი მატჩების გამოტოვება რომ მოუწევს, ფაქტია.

„ის ჩვენი ლიდერი, კაპიტანი და ყველაზე გამოცდილი მოთამაშეა. მის გარეშე პლეი ოფში მაგრად გაგვიჭირდება, თუმც იმედი ბოლოს კვდება და იქნებ შეძლოს მანამდე ჯანზე მოსვლა“ — შეწუხებულია „მონრეალის“ მწვრთნელი გი კარბონო.

კახა ლომაშვილი

რეგულარული ჩემპიონატი

31 მარტი

რეინჯერსი 2:1 პიტსბურგი

0:0 1:0 0:1 1:0 (ოვერტაიმში)

1:0 იაგრი (32), 1:1 ტელბოტი (51), 2:1 დრური (62)

ტამპა 0:2 ატლანტა

0:0 0:0 0:2

0:1 კოვალჩუკი (55), 0:2 კოვალჩუკი (60)

ჩინურ-ჩინებული

ოსალივანმა პირი აიმყრალა

სტივ მაგუაერმა ფანტასტიკურ ფინალში 10:9 სძლია შონ მერფის და ჩინეთის ღია პირველობა მოიგო. მანამდე, წლეულს დიდებულად მოთამაშე სქოთმა მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკი გააკეთა. მიუხედავად მაგუაერთან მარცხისა, მერფი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სნუკერისტთა წინასწარ რეიტინგს ჩაუდგა სათავეში. აი, ასეთი იყო 2007-08 წლების სეზონის ბოლოსწინა სარეიტინგო ტურნირის ძირითადი შედეგები, მაგრამ ამ შედეგებზე მეტი გამოხმაურება იმ პრესკონფერენციას მოჰყვა, რომელზეც ჰონკონგელ მარკო ფუსთან პირველივე ბრძოლაში დამარცხებულმა რონი ოსალივანმა ჩინელებზე რაღაც საზიზღრობები ილაპარაკა.

სნუკერის დიდოსტატი მთლად გაწონასწორებული პიროვნება რომ არ არის, ძველი ამბავია და ეს თავად რონის შედეგებზეც კარგად არის ასახული — ოსალივანს იმაზე, მინიმუმ ორჯერ მეტი უნდა ჰქონდეს მოგებული, ვიდრე მოუგია, მაგრამ ამ წუთისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ხსენებულ სკანდალურ პრესკონფერენციაზე რონიმ ჩინელებს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა, თანაც ისე, რომ ეგონა, გვერდით მჯდომი ჟურნალისტის გარდა არავინ მისმენსო.

ახლა ოსალივანის საკითხს სნუკერისტთა მსოფლიო ასოციაციაში (WSA) განიხილავენ და არ არის გამორიცხული, წლეულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გარეშე ჩაიაროს.

თუ ასე მოხდა, ძალიან ცუდი იქნება. რონი ოსალივანს პირადი კულტურის მხრივ რომ არ ულხინს, ძველი ამბავია, მაგრამ არც ის არის ახალი, მის გარეშე სნუკერისტთა ამქარი და მთავარი ფორუმი ისე მომაჯადოებელი რომ ვეღარ იქნება, როგორიც არის.

აი, ასეთი ამბების შემდეგ ისევ ახლახან დასრულებულ ჩინეთის ღია პირველობას დავუბრუნდეთ, სადაც ნახევარფინალებსა და ფინალში, მართლაც რომ ფანტასტიკური თამაში ვიხილეთ.

ნახევარფინალში მაგუაერმა, ვინც წლეულს უკვე მოასწრო ერთი სარეიტინგო ტურნირის, კერძოდ კი ჩრდილოეთ ირლანდიის ღია პირველობის მოგება, უელსელ რაიან დეისთან შეხვედრის მეორე ფრეიმში მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკი გააკეთა და 2:0 დაწინაურდა. თითქოს დეი უნდა გატეხილიყო, მაგრამ პირიქით მოხდა — უელსელმა ზედიზედ ოთხ პარტიაში იმარჯვა, თუმც შემდეგ ისევ მაგუაერის ჯერი დადგა და სქოთმა სამი ფრეიმის მოგებით ლიდერობა დაიბრუნა — 5:4. დეიმ მაინც გაათანაბრა ანგარიში და გადამწყვეტ ფრეიმში უნდა ემარჯვა კიდეც, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი შანსი ვერ გამოიყენა და ფინალში მაგუაერი გაატარა.

მეორე ნახევარფინალი ცხრა პარტიაში დასრულდა. მარკ სელბი, როგორღაც ინერტული იყო და მერფიმ უპრობლემოდ აჯობა რა თანამემამულეს, ამ გამარჯვებით, ანუ ფინალში გასვლით სნუკერისტთა წინასწარ, ანუ მიმდინარე რეიტინგში ოსალივანს გადაასწრო.

ფინალი კი მართლაც დიდებული გამოვიდა. მაგუაერი და მერფი ძველი და პრინციპული მეტოქეები არიან. მათი ურთიერთშეხვედრების ბალანსი აქამდე თანაბარი, 4:4 იყო და ეს ბალანსი არც 10 ფრეიმის მოგებამდე მიმდინარე ფინალის ბოლო, მე-19 პარტიამდე დარღვეულა.

თავიდან 2:1 მერფი დაწინაურდა, მაგრამ მაგუაერმა ოთხფრეიმიანი სერია გამოაცხო, თანაც ორ მათგანში 10-ქულიანი ბრეიკი გააკეთა და 5:2 გავიდა წინ. ინგლისელმა უმალ 136-ქულიანი ბრეიკით უპასუხა, შემდეგ კიდევ ოთხი ფრეიმი მოიგო და ანგარიში, უკვე 7:5 გახდა მერფის სასარგებლოდ.

აგრე არ უნდაო და, მაგუაერმაც წააწყო თავისი სერია — 137-ქულიანი ბრეიკს კიდევ სამი ფრეიმი მიაყოლა, 9:7 დაწინაურდა და ტიტულს ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდა. მერფი არც ამ ჯერზე გატყდა — ინგლისელმა კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში და მერე იყო მომქანცველი, საშინელი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მიმდინარე მე-19 ფრეიმი, რომლის ბოლოსკენაც მაგუაერს მეტი ენერგია შერჩა.

სტივ მაგუაერმა სეზონში მეორე კარიერაში კი მეოთხე სარეიტინგო ტურნირი მოიგო და 19 აპრილს ინგლისურ შეფილდში დასაწყები მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად, ამ გადასახედიდან, სწორედ ეს 27 წლის შოტლანდიელი მოიაზრება.

წინასწარი რეიტინგი

1. შონ მერფი (ინგლისი)	41250
2. რონი ოსალივანი (ინგლისი)	41150
3. სტივ მაგუაერი (შოტლანდია)	40525
4. მარკ სელბი (ინგლისი)	36925
5. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია)	34125
6. ნილ რობერტსონი (ავსტრალია)	29150
7. რაიან დეი (უელსი)	28875
8. დინ ჯუნხუ (ჩინეთი)	28394
9. პიტერ ებდონი (ინგლისი)	27975
10. სტივ ჰენდრი (შოტლანდია)	27875
11. ალისტერ კარტერი (ინგლისი)	26175
12. გრემ დოტი (შოტლანდია)	25744
13. მარკუ ფუ (ჰონკონგი)	24200
14. ჯო პერი (ინგლისი)	24025
15. კენ დოჰერტი (ირლანდია)	23719
16. მარკ ალენი (ჩრდ. ირლანდია)	22925
17. მეტიუ სტივენსი (უელსი)	22613
18. მარკ კინგი (ინგლისი)	22200
19. ჯეიმი კოუპი (ინგლისი)	21944
20. იან მაკალოჰი (ინგლისი)	21282

ოფიციალური რეიტინგი

1. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია)	42250
2. გრემ დოტი (შოტლანდია)	37775
3. შონ მერფი (ინგლისი)	37700
4. კენ დოჰერტი (ირლანდია)	35800
5. რონი ოსალივანი (ინგლისი)	34500
6. პიტერ ებდონი (ინგლისი)	33550
7. ნილ რობერტსონი (ავსტრალია)	33125
8. სტივ ჰენდრი (შოტლანდია)	32475
9. დინ ჯუნხუ (ჩინეთი)	30800
10. სტივ მაგუაერი (შოტლანდია)	30550
11. მარკ სელბი (ინგლისი)	27400
12. მარკ უილიამსი (უელსი)	27125
13. სტივ ლი (ინგლისი)	26150
14. ალისტერ კარტერი (ინგლისი)	25300
15. სტივ დევისი (ინგლისი)	24950
16. რაიან დეი (უელსი)	24500
17. ჯო სვეილი (ჩრდ. ირლანდია)	24350
18. ჯო პერი (ინგლისი)	23925
19. ბარი ჰოუკინსი (ინგლისი)	23750
20. მეტიუ სტივენსი (უელსი)	23550

აი, დარტყმა!

ავსტრალიელი მოცურავეები სმელეთზე შეიბნენ

სიდნეიში რამდენიმე დღის წინ დასრულდა ავსტრალიის ჩემპიონატი ცურვაში, სადაც რვა მსოფლიოს რეკორდი დამყარდა და 42 ავსტრალიელი მოცურავე პეკინის ოლიმპიადისთვის შეირჩა, მაგრამ ჩემპიონატის თემა ასე მშვიდობიანად როდი ამოიწურა. გაზეთები კვლავ წერენ, ოღონდ არა რეკორდების, არამედ იმ დიდი ჩხუბის შესახებ, რომელიც ახალარჩეული ნაკრების წევრებმა ნიკ დარსიმ და საიმონ კოულმა ტურნირის დამთავრების შემდეგ, წვეულებაზე გამართეს.

როგორც ავსტრალიური საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, ეს არ ყოფილა ორი შეზარხოშებული ბიჭის წაკინკლავება, ვთქვათ გოგონას გამო. ეს იყო ცემა-ტყეება, რომლის შედეგადაც დარსიმ პოლიციაში ამოყო თავი, კოული კი საავადმყოფოში გააქანეს, სადაც მას სერიოზულ ოპერაციას გაუკეთებენ სახეზე — ყვრიმალის ძვლების მაგივრად ლითონის ფირიტას ჩაუდგამან. მას გატეხილი აქვს სახის რამდენიმე ძვალი და ცხვირი, მძიმედ აქვს დაშავებული თვალი და რამდენიმე კბილიც შეუწირა ამ ინციდენტს. ექიმები ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ერთი დარტყმის (ჰუ-შტის!!!) შედეგია და, მგონი, თავადაც არ სჯერათ ამისი. ნეტა ასეთი რა ლეწა დარსიმ ამ საბედისწერო კოულს?

20 წლის ნიკ დარსი კი ამჟამად წინასწარი დაკავების საკანშია და სასამართლოს ელოდება. ავსტრალიის ნაკრებში ის 100 და 200 მეტრ ბატერფლაის კვალიფიკაციის გაცურვის შემდეგ მოხვდა და პეკინშიც ამ დისტანციებზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ არავინ იცის, მოუწევს თუ არა აგვისტოში ჩინეთში ჩასვლა. ერთი კი ცხადია — ის ნებისმიერ შემთხვევაში გააცდენს აპრილში მანჩესტერში მოკლე წყალში, ანუ 25-მეტრიან აუზში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატს. გააცდენს ნაგვემი კოულიც.

კოტე ყორშია

ნიკ დარსიმ საიმონ კოულს ცხვირ-პირი დაულეწა და კბილები დააყრევინა



რევაზ მინდორაშვილი
და დავით მოძმანაშვილი

ბიორკი ანანიშვილის ფოტო

დღე პირველი: ევროპის ჩემპიონობა, ორი ვერცხლი და ორიც ლიცენზია!

დავით მოძმანაშვილმა საჩემპიონო გზა შესაშურად განვლო — ჯერ ბერძენი ნესტორას ბატსვლასი დაამარცხა 2:0, 7:0, მერე რუმინელი სარეს ჩინტოიანი მიანგრია 8:0, 5:0 და ფინალში გადასასვლელად აზერბაიჯანელ ალი ისაიევს დაეჭიდა — 3:3, 8:2. ფინალში სლოვაკეთის სახელით გამომსვლელ დავიდ მუსულბეზს პირველი პერიოდი 2:0 მოუგო. მეორე პერიოდი ფრედ დამთავრდა და კენჭისყრით ფეხში შესვლის უპირატესობა მომძმანაშვილს მიეცა, მანაც შანსი მშვენივრად გამოიყენა 2:0 იმარჯვა და კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწია.

დაჯილდოების ცერემონიალზე ტურნირის ორგანიზატორებმა „თავისუფლების“ ნაცვლად „დიდება“ ააყვერეს. ძველი ჰიმნის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ელემენტარულად, ქვეყნის პრესტიჟის ამბავია, როდესაც წლების წინ შეცვლილ ჰიმნს აგიყოერებენ. არადა, უამრავი ქვეყანა ასეთ წარმატებაზე მხოლოდ ოცნებობს ჩვენ კი... იმედი გვაქვს, რომ ქართული დელეგაცია უთავბოლო მასპინძლებს შეცდომას მიუთითებენ.

იმის გამო, რომ მოძმანაშვილი ჩემპიონი გახდა, ჯერ მისი ამბები მოგიყევით, ახლა კი წონების მიხედვით თანმიმდევრობით მივყვეთ. 55 კგ-ში ბესო გუჩაშვილმა საწყისი წრე გამოტოვა, მერე კი ბულგარელ რადოსლავ ველიკოვთან წააგო და რადგან ველიკოვიც მომდევნო წრეში დამარცხდა გუჩაშვილი შეჯიბრს გამოეთიშა.

66 კგ-ში ოთარ თუშიშვილის არაყოფნაში კობა კაკალაძემ იყოჩაღა. თავიდან ფინელი იუონ როსენლოსი 5:4, 2:0 დაჩაგრა, მერე სომეხ ზიკარ ჰოვანესიანთან დაძაბულ პაექრობაში 1:0, 0:2, 1:0 იძალა და უკრაინელ ანდრეი სტადნიკს გადაეყარა — 1:3, 3:1, 3:3. ნახევარფინალში კი აზერბაიჯანელ ემინ აზიზოვი წაგებული პერიოდის მერე 0:1, 3:2, 6:0 დაჩაგრა.

ფინალში კაკალაძეს მსოფლიოს ჩემპიონი თურქი შაჰინ რამაზანი ელოდა. გამოცდილ მეტოქესთან კაკალაძემ 0:1, 0:2 დათმო.

84 კგ-ში რევაზ მინდორაშვილი ფინალამდე ასე მივიდა: გერმანელთა სახელით გამომსვლელ ხვიჩა ბიჩინაშვილს 0:1, 1:0, 1:0 აჯობა, ესპანელ ხავიერ რამოსს 3:1, 6:0, ბელარუს ივან იანკოვს 2:2, 7:0, ხოლო ისრაელელ ფალავან სერგეი კოლესნიკოვს 1:0, 2:0. გადამწყვეტ შეხვედრაში რეზოს რუსი გიორგი კეტოევი იგივე ქეთიშვილი ელოდა. სამწუხაროდ, ფინალმა კეტოევის უპირატესობით ჩაიარა და 5:2, 2:1 მისი გამარჯვებით დასრულდა. აქ სანუგეშოდ ის დაგვრჩა, რომ მინდორაშვილმა პეკინის ლიცენზია მოიპოვა, რაკიღა ჩემპიონი კეტოევი ჩინეთის საგზურს უკვე ფლობდა.

ასე, რომ 3 მედალს თავისუფლებმა 2 ლიცენზიაც დაამატეს და პირველი დღე შედეგიანად მოილიეს. დღეს კი მალხაზ ქურდიანი (60 კგ), გელა საღირაშვილი (74 კგ) და გიორგი გოგშელიძე (96 კგ) იჭიდავებენ.

გუშინვე ფინეთში ჩვენი დელეგაციის წევრებს შევეხმიანეთ.

კობა კაკალაძე: ჩემპიონობაც შემძლო, მაგრამ ცოტა დამაკლდა. დაღლილიც ვიყავი, ფინალამდე ურთულესი გზა გავიარე. უკრაინელ სტადნიკთან დიდი ომი გადამხდა. დასვენებული არც მეტოქე იყო, თუმც მას უფრო მეტი ძალა შერჩა. მომავალში მეტის გაკეთებას ვეცდები.

დავით მოძმანაშვილი: ძალიან გახარებული ვარ. მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ და ექიმმა ზურა კახაბრიშვილმა ფსიქოლოგიურად შესანიშნავად მომამზადეს, მგელივით ვიყავი, ძალიან დაძაბული ფინალი იყო, მეტოქე ძლიერი მყავდა, თუმც გამარჯვებისთვის ყველაფერი გავიღე და ბედნიერი ვარ, რომ ჩემპიონობასთან ერთად ლიცენზიაც მოვიპოვე. ახლა მზადებას ოლიმპიადისთვის დავიწყებ...

ლექსო მაისურაძე

55 კგ

1 დიმალ ოთარსულთანოვი (რუსეთი)
2 რაზვან გაჯიევი (ბელარუსი)
3 ფრანსისკო სანჩესი (ესპანეთი)
3 სეზარ აკგული (თურქეთი)

66 კგ

1 შაჰინ რამაზანი (თურქეთი)
2 **კობა კაკალაძე (საქართველო)**
3 რასულ ჯუკაევი (რუსეთი)
3 ემინ აზიზოვი (აზერბაიჯანი)

84 კგ

1 გიორგი კეტოევი (რუსეთი)
2 **რევაზ მინდორაშვილი (საქართველო)**
3 ნურუზ ტემხეროვი (აზერბაიჯანი)
3 ხვიჩა ბიჩინაშვილი (გერმანია)

120 კგ

1 **დავით მოძმანაშვილი (საქართველო)**
2 დავიდ მუსულბესი (სლოვაკეთი)
3 ბახტაირ ახმედოვი (რუსეთი)
3 ალი ისაევი (აზერბაიჯანი)

მეფე არტურის მრგვალი მაგიდა

საშუალო წონაში IBF-ის ვერსიით ჩემპიონმა, სომხური წარმოშობის, მაგრამ გერმანიის სახელით მოჩხუბარმა არტურ აბრაჰამმა შეძლო ტიტულის შენარჩუნება, დაანოკაუტა რა პრეტენდენტი ამერიკელი ელვინ აიალა. აბრაჰამმა ეს უკვე მეექვსედ დაიცვა თავისი ტიტული.

ბრძოლა საკმაოდ ხეირიანი საყურებელი გამოდგა, რადგანაც ორივე მოკრივე შეტევაში ეძებდა იღბალს. ჯახის პირველმა რაუნდებმა თანაბარ ჩხუბში ჩაიარა — აიალა უფრო აქტიურობდა, მაგრამ მისი დარტყმების უმეტესობას ჩემპიონი ან იცილებდა, ანაც ამერიკელი მხოლოდ ჰაერს აზანზარებდა. აბრაჰამი უფრო იშვიათად უტევდა, მაგრამ სამაგიეროდ, უფრო ზუსტიც იყო.

პირველი სერიოზული დაზიანება აიალამ მეხუთე რაუნდში მიიღო, როცა გერმანელმა მარჯვენათი პირდაპირი დარტყმა გაატარა და ისეთი მოსცხო მეტოქეს, რომ ამერიკელი რინგზე გაიშხლართა. თუმც იანკმა შეძლო ფეხზე წამოდგომა და ბრძოლა ისე გააგრძელა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

მომდევნო რამდენიმე რაუნდში აღარაფერი შეცვლილა — აიალა თითქოს უფრო აქტიურობდა, მაგრამ ჩემპიონი მეტოქის დარტყმების უმეტესობას ადვილად იგერიებდა, შემდეგ რაუნდის მიწურულს ტემპს უმატებდა და ქულებს მიყოლებით აგროვებდა. ამერიკელმა მხოლოდ მეათე რაუნდში შეძლო მეტ-ნაკლები უპირატესობის მოპოვება, მაგრამ აქედან კარგს ვერაფერს გამორჩა და დაისაჯა კიდეც — მე-11 სამწუთიულში აბრაჰამმა მეტოქე უსასტიკესი ზეწოლის ქვეშ მოაქცია. გერმანელი კომბინაციას კომბნაციაზე ატარებდა და იანკი გვარიანადაც დაეჟეჟა, მაგრამ ამ უკანასკნელმა შეძლო რაუნდის ჩამთავრება.

აიალა ამის მეტს ვეღარ გასწვდა და ბოლო რაუნდში აბრაჰამის მორიგი სასტიკი შემოტევის შემდეგ ფიცარნაგზე კიდევ ერთხელ გაიშხლართა, რის შემდეგაც შეხვედრის რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა და გერმანელს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

„საკმაოდ უხერხული მეტოქე იყო, რომელიც კარგად მარიდებდა თავს. მაგრამ ჩემს შანსს დაველოდე და გამოვიყენე კიდეც. ყველთვის ვამბობდი, რომ მიზნის მისაღწევად ცოტაოდენი მოთმინებაა საჭირო“ — ხარობდა ნამატჩევს აბრაჰამი, რომელმაც პროფესიულ რინგზე უკვე 26-ედ იმარჯვა და ჯერ არ დამარცხებულა.

აბრაჰამი მორიგ ბრძოლას 21 ივნისს გამართავს, თუმც ჯერ არ გადაწყვეტილა, თუ ვის დაუპირისპირდება. სავარაუდოდ, გერმანელის შემდეგი მეტოქე კოლუმბიელი ედისონ მირანდა იქნება და ეს ჯახი თუ მართლაც გაიჩარხა, მაგარი სანახაობის მოწმენიც გავხდებით. შეგახსენებთ, რომ 2006 წელს ეს ორი მოკრივე უკვე შეხვდა ერთმანეთს და მაშინ მირანდამ მეტოქეს ყბა მოატეხა, მაგრამ აბრაჰამმა ქულებით მაინც შეძლო გამარჯვება. თუმც დღესაც ბევრი ეჭვქვეშ აყენებს მსაჯების მაშინდელ გადაწყვეტილებას — ასე რომ, ამ მოკრივეთა რემატჩი მართლაც საინტერესო საცქერა უნდა გამოდგეს.

ძახა ლომაძვილი

პრეზიდენტი მოდის
რეგიონების ჭიდილი დაფასდება

გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა, ვიცეპრეზიდენტებმა გია ნაცვლიშვილმა და შენგელი ფიცხელაურმა ისაუბრეს. ძიუდოს ფედერაციის თავკაცობა რამდენიმე თემას შეეხო, მაგრამ ძირითადი აქცენტი ძიუდოს მსოფლიოს ფედერაციის პრეზიდენტ მარიუს ვიზერის საქართველოში ვიზიტზე გაკეთდა...

გია ნაცვლიშვილი: 9 აპრილს, საღამოს, საქართველოს ოფიციალური ვიზიტით მსოფლიოს ძიუდოს ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი მარიუს ვიზერი ესტუმრება. 10 აპრილს იგი საქართველოს პრეზიდენტს შეხვდება და დიღომში მშენებარე ოლიმპიურ ცენტრს მოინახულებს. გვინდა სტუმარს ვაჩვენოთ, თუ რისი გაკეთება მოვასწარით გასული 4 წლის განმავლობაში. ვფიქრობ, მასზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მშენებარე ოლიმპიური ცენტრი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. კომპლექსი შედგება ერთი ძირითადი და სამი სავარჯიშო დარბაზისგან და აქვს თანამედროვე ინფრასტრუქტურა. ვიზერის ვიზიტი ორმაგად სასიხარულოა იმ მხრივ, რომ ოლიმპიადის წელია და ჩვენს მენაკრეთა მოტივაციას გაზრდის.

შენგელი ფიცხელაური: კიდევ ერთ სიახლეზეც გეტყვით. 2-4 მაისს გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის თასი, რომელზეც რეგიონების ნაკრებები გამოვლენ. ტურნირში ჩვენი ქვეყნის ყველა სახელიანი ფალავანი იჭიდავებს. სულ დაახლოებით 6-8 გუნდი ჩაერთვება შეჯიბრში. საპრიზო ფონდიც სოლიდურია — 40 000 ლარი პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს გაუნაწილდებათ: 25 000, 10 000 და 5 000 ლარს, შესაბამისად, ჩემპიონ-პრიზიორები მიიღებენ. მაისშივე ვგეგმავთ 2007 წლის საუკეთესო და შედეგიანი ძიუდოისტების გალადაჯილდოებასაც. ფულადი პრემიები და ფასიანი საჩუქრები 10 ნომინაციაში გამარჯვებულ მოჭიდავეებს გადაეცემათ. საღამო დასრულდება გრანდიოზული კონცერტით. ვეცდებით, ეს დაჯილდოება ტრადიციად ვაქციოთ.

დაბოლოს, პორტუგალიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატსა და ნაკრების ახლანდელ მდგომარეობაზე *დილარ ხაბულიანმა* ისაუბრა: ბიჭები ოპტიმალურ ფორმაში არიან. ლისაბონში ყველა პირველი ნომერი მიემგზავრება. ნაკრები 9 აპრილს ჩავა პორტუგალიაში. შეჯიბრება 11 აპრილს დაიწყება და 13-ში დამთავრდება. ვიმედოვნებ, რომ მოჭიდავეები მედლებით დაგვიბრუნდებიან.

ზურაბ მიგრიაული

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. წუხელ

უეინ რუნიმ „რომას“ იმედი გადაუწურა



ბოიან კრკიჩის გოლი „აუფშალკეზე“

კობის ნახევარფინალი ალბათ აღარ იქნება

შალკე 0:1 ბარსელონა

0:1 კრკიჩი (11)

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ასამოა (ლარსენი 73), ერნსტი, კობიაშვილი, პანდერი, კურანი (სანჩესი 60), ალთინთოპი (ლოვენკრანდსი 88)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ხავი, იაია ტურე (მარკესი 73), ინიესტა, კრკიჩი (სილვინიო 85), ეტოო (ჯოვანი 82)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: მილიტო, პანდერი, ლარსენი, ერნსტი, კრსტაიჩი, პუიოლი, მარკესი, ჯოვანი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

53 951 მაყურებელი

რომა 0:2 მანჩესტერი

0:1 რონალდუ (39), 0:2 რუნი (66)

რომა: დონი, კასეტი, მექსესი, პანუჩი, ტონეტო (სისინიო 69), დე როსი, აკვილანი (ესპოზიტო 76), ტადეი (ჟიული 59), პიზარო, მანჩინი, ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი (ოში 34), ევრა, კარიკი, სქოულზი, ანდერსონი (ჰარგრივსი 55), რონალდუ, პარკი, რუნი (ტევესი 84)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: პიზარო, ანდერსონი, მექსესი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)

80 023 მაყურებელი

წუხელ „აუფშალკესა“ და „სტადიო ოლიმპიკოზე“ მწუხარებამ დაისადგურა. ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩებში სტუმრებმა მოიგეს და საპასუხოებში...

კი, ცხადია, აჩქარება და დასკვნების წინასწარ გამოტანა არ ვარგა, მაგრამ მოდით, კითხვა ასეთნაირად დავსვათ: არის „შალკე“ „კამპ ნოუზე“ მომგები? ან არის „რომა“ „ოლდ ტრეფორდზე“ სამი ბურთის გამტანი?..

რომში პირველი ტაიმი იწურებოდა, პოლ სქოულზის ჩაწოდებულზე კრიშტიანუ რონალდუ რომ გამოექანა, მცველზე მაღლა ახტა და თავური შეაგდო. ეს პორტუგალიელის 36-ე გოლი იყო ამ სეზონის ყველა ტურნირში ერთად.

რომაელებს გათანაბრება შეეძლოთ. კრისტიან პანუჩიმ ძალიან ახლოდან ააცილა, ხოლო მირკო ვუჩინიჩს ედვინ ვარ დერ სარმა აუღო უაღრესად სახიფათოდ დარტყმული. ამ მომენტიდან ხუთ წუთში კი უეინ რუნიმ „მანჩესტერისთვის“ შეაგდო.

მეორე ტაიმის მედგრად დამწყები „რომა“ ამ მეორე გოლმა გატეხა და ინგლისელებს გოლების შანსი კიდევ მიეცათ: რონალდუს დარტყმები ამ ჯერზე ოდნავ უზუსტო იყო.

მეორე წუხანდელ მატჩში, რომლის მონაწილეც ჩემპიონთა ლიგას შემორჩენილი ერთადერთი ქართველი ლევან კობიაშვილი გახლდათ, სტუმრებმა ადრეული გოლით მოიგეს. ტიერი ანრის პასით ბოიან კრკიჩმა გაიტანა, ვინაც, შეგახსენებთ 17 წლისაა.

ოღონდ იმასაც ვერ ვიტყვით, „შალკე“ უშანსოდ იყო. შესვენების მერე გერმანელები უფრო აქტიურადაც გამოიყურებოდნენ, ჰალილ ალთინთოფს, სორენ ლარსენსა და მარსელო ბორდონს ჰქონდათ გათანაბრების შანსი. ხოლო ბოლო წუთებზე კატალონიელებს ორი მოთამაშეც გაუფრთხილეს დროის გაყვანის გამო.

ლევან კობიაშვილზე კი სათქმელიც ბევრი არაფერი გვაქვს, 90 წუთი ითამაშა, მაგრამ დასამახსოვრებელ ეპიზოდებში მონაწილეობა არ მიუღია.

თავში შანსები ვახსენეთ და იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ერთ ნახევარფინალში სწორედ დღევანდელ წყვილებს შორის გამარჯვებულები შეხვდებიან. ანუ შანსი იმისა, რომ „ბარსელონა“ — „მანჩესტერი“ ვნახოთ, ძალიან დიდია.

კოტე კეკელია

ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები

კარდიფი 0:0 ვესტ ბრომვიჩი
უენსდი 1:1 ქოვენთრი

I ლიგა
გადადებული მატჩები

კარლაილი 0:2 ნოტინგემი
დონკასტერი 0:1 ლიდსი
ჯილინგემი 2:1 ლუთონი

II ლიგა
გადადებული მატჩები

ბარნეტი 0:0 დარლინგტონი
მენსფილდი 2:1 რეიესემი
როჩდეილი 2:1 ბრედფორდი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები

დროილსდენი 1:2 ტორკი
გრეისი 5:1 სტაფორდი
ჰისტონი 1:1 ნორსვიჩი
კიდერმინსტერი 2:1 ეგსფლიტი
სტივენეიჯი 3:2 იორკი

შვეიცარია

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი

ბელინცონა 5:0 ჩამი

შოტლანდია

I დივიზიონი
გადადებული მატჩები

ლივინგსტონი 1:0 ქუინი
პარტიკი 1:0 დანდი

II დივიზიონი. გადადებული მატჩი

ქუინზ პარკი 2:3 კოუდენბითი

III დივიზიონი. გადადებული მატჩი

დამბარტონი — ფორფარი გადაიდო

ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი. I მატჩები

გროცლინი 1:0 რუხი
არკა 0:0 ვისლა

საფრანგეთი

II დივიზიონი. გადადებული მატჩი

რეიმსი 1:2 ბასტია

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი ლარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოზიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაკა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge